ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი არაბიძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

რეგრესიის ფუნქციის ინტეგრალური ფუნქციონალების შესახებ

ს ა დ ო ქ ტ ო რ ო   დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ელიზბარ ნადარაია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ სოხაძე

თბილისი, 2015 წელი

შინაარსი

შესავალი

რეგრესიის ფუნქციის შეფასების აგების ამოცანა თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ვთქვათ, Y შემთხვევითი სიდიდე წარმოადგენს X შემთხვევითი სიდიდის ჩვენთვის უცნობ დეტერმინისტურ ფუნქციას. ამ სიდიდეთა (X, Y) წყვილზე (X_1, Y_1), (X_2, Y_2), . . . ,(X_n, Y_n) დამოუკიდებელ დაკვირვებათა საფუძველზე, საჭიროა აგებულ იქნეს რეგრესიის უცნობი $a(x)$ ფუნქციის ძალდებული შეფასება - $\hat{a}_n(x)$. ამასთან, რეგრესიის განტოლებას აქვს სახე

$$Y = a(X) + \varepsilon,$$

სადაც, ε შემთხვევითი შეშფოთებაა (ცდომილებაა). რეგრესიის ფუნქციის ინტენპრეტაცია შეგვიძლია პირობითი მათემატიკური ლოდინის ტერმინებში: $a(x) = E(Y \mid X = x)$.

დასმული ამოცანის ფარგლებში მრავალი, პრაქტიკულად საინტერესო ამოცანა, შეიძლება აღიწეროს. ასეთი ტიპის დამოკიდებულება გვხვდება მეცნიერების მრავალ დარგში, ფიზიკაში, ეკონომიკაში, მედიცინაში და სხვ. ცნობილია ამ პრობლემისადმი მიდგომის სხვადასხვა გზა. ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ რეგრესიის ფუნქციის აგების სამ ყველაზე გავრცელებულ ხერხს - ნადარაია-ვატსონის, პრისტლი-ჩაოსა და გასერ-მიულერის შეფასებებს. ცხადია, ამოცანა არაპარამეტრულ სტატისტიკას მიეკუთვნება. ისტორიულად, რეგრესიის ფუნქციისა და ალბათური განაწილების სიმკვრივის შეფასებების ტექნიკა ერთმანეთის პარალელურად და მსგავსი მეთოდებით ვითარდებოდა. მეთოდი წარმოადგენს ე.წ. გულოვანი ტიპის შეფასებებს. აღნიშნული მიმართულებებით არსებობს ათასობით მონოგრაფიული თუ საჟურნალო პუბლიკაცია (იხ. მაგ. [1-7] და მათში მოცემული ლიტერატურის ჩამონათვალი).

ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკულად მნიშვნელოვანია ე.წ. ნადარაია-ვატსონის რეგრესიის ფუნქციის აგების მეთოდი. ეს მეთოდი შემოთავაზებულ იქნა 1964 წელს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ქართველი მათემატიკოსის ელიზბარ ნადარაიასა და ავსტრალიელი ჟოფრეი ვატსონის მიერ (იხ. [8-9]).

ნადარაია-ვატსონის შეფასებას აქვს სახე

$$\hat{a}_n(x) = \frac{\sum_{i=1}^{n} K\left(\frac{x - X_i}{b_n}\right) Y_i}{\sum_{i=1}^{n} K\left(\frac{x - X_i}{b_n}\right)},$$

სადაც $K(x)$ ალბათური განაწილების სიმკვრივის თვისებების მქონე ნებისმიერი ფუნქციაა, ხოლო b_n წარმოადგენს უსასრულოდ მცირე დადებით მიმდევრობას. შესაბამის პირობებში შესწავლილ იქნა ამ შეფასების ძალდებულობის, ასიმპტოტური ნორმალურობისა და სხვა თვისებები.

რეგრესიის შეფასების საინტერესო და მნიშვნელოვანი მეთოდი შემოთავაზებულ იქნა ბრიტანელი მათემატიკოსის მაურიუს პრისტლისა და ჩინელი მინ თე ჩაოს მიერ 1971 წელს (იხ. [10-11]).

პრისტლი-ჩაოს შეფასებისას $Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n)$ დაკვირვებები დეტერმინისტულ წერტილებში გაგვაჩნია: $0 \leq t_1 \leq t_2 \leq \cdots \leq t_n \leq 1$. თვით რეგრესიის შეფასებას ასეთი სახე აქვს:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} K\left(\frac{t - t_i}{b_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{b_n} \cdot Y(t_i),$$

სადაც $K(x)$ ალბათური განაწილების სიმკვრივის თვისებების მქონე ნებისმიერი ფუნქციაა, ხოლო b_n წარმოადგენს უსასრულოდ მცირე დადებით მიმდევრობას. შესაბამის პირობებში შესწავლილ იქნა ამ შეფასების ძალდებულობის, ასიმპტოტური ნორმალურობისა და სხვა თვისებები. შეფასებები მიღებულია, აგრეთვე, რეგრესიის ფუნქციის წარმოებულებისთვისაც.

რეგრესიის ფუნქციის შეფასების საინტერესო მეთოდი შემოგვთავაზა გერმანელმა მათემატიკოსებმა თეო გასერმა და ჰანს-გეორგ მიულერმა 1979 წელს (იხ. [12-13]).

გასერ-მიულერის შეფასება იგება იმავე სქემით, როგორც პრისტლი-ჩაოს შეფასების შემთხვევაში. $Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n)$ დაკვირვებები დეტერმინისტულ წერტილებში გაგვაჩნია: $0 \leq t_1 \leq t_2 \leq \cdots \leq t_n \leq 1$. ხოლო რეგრესიის შეფასებას ასეთი სახე აქვს:

$$\hat{a}_n(t) = \frac{1}{b_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} K\left(\frac{t - u}{b_n}\right) du \cdot Y(t_i).$$

აქაც, ისევე როგორც ზევით, $K(x)$ ალბათური განაწილების სიმკვრივის თვისებების მქონე ნებისმიერი ფუნქციაა, ხოლო b_n წარმოადგენს უსასრულოდ მცირე დადებით მიმდევრობას. რაც შეეხება ინტეგრალის საზღვრებს ისინი ასეთ პირობებს აკმაყოფილებენ:

$$0 = s_1 \leq s_2 \leq \cdots \leq s_n = 1,\ t_i \leq s_i \leq t_{i+1},\ i = 1, 2, 3, \dots, n-1 \text{ და } max_i |s_i - s_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right).$$

ამ შემთხვევაშიც სრულად იქნა გამოკვლეული შეფასების ძალდებულობისა და ასიმპტოტური ყოფაქცევის თვისებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგრესიის გულოვანი ტიპის არაპარამეტრული მეთოდების დამუშავება მიმდინარეობდა ალბათური განაწილების სიმკვრივის გულოვანი ტიპის შეფასებების კვლევების პარალელურად. მას შემდეგ, რაც გამოკვლეულ იქნა ორივე მიმართულების შეფასებების ძირითადი თვისებები, აქტუალური გახდა ალბათური განაწილების სიმკვრივისა და

რეგრესიის ფუნქციათა ფუნქციონალების კვლევა. ეს გამოწვეულია პრაქტიკულად (და თეორიულადაც) საინტერესო ფუნქციონალების შეფასების საჭიროებით. ასეთი ფუნქციონალების რიგს მიეკუთვნებიან, მაგალითად, მომენტების ფუნქციონალები, ფიშერის ინფორმაციული ინტეგრალი, შენონის ენტროპიის ფუნქციონალი და მრავალი სხვა. საკმაო ინტენსივობით და სისრულით იქნა გამოკვლეული ალბათური განაწილების სიმკვრივის ფუნქციონალები (იხ. [14-20]). ამ მიმართულებით ყველაზე ზოგადი შედეგები მიღებულ იქნა ნაშრომებში [21-22].

რაც შეეხება რეგრესიის ფუნქციისა და მისი წარმოებულების ფუნქციონალების შეფასების პრობლემებს, აქ მიღებული შედეგები შედარებით მოკრძალებულია (იხ. [23-26]). ამიტომ აქტუალურია რეგრესიის ფუნქციისა და მისი წარმოებულების ფუნქციონალების თვისებების დადგენა. სწორედ ამ პრობლემატიკის ზოგიერთი საკითხის ანალიზს ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ჩვენი მიდგომა ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა განაწილების სიმკვრივის და რეგრესიის ფუნქციისა და მათი წარმოებულების ფუნქციონალების შესწავლისას. მიღებული შედეგები მთლიანად მოიცავს ცნობილ შედეგებს ამ მიმართულებით და ანზოგადოებს მათ. ამიტომ, ჯერ ერთი, ყველგან განიხილება შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია ე.წ. ”ჩასმის” (ინგლისურად მიღებულია ტერმინი “plug-in-estimator”) ოპერატორთან და მეორე მხრივ, ჩვენ ძირითად შეფასებებს განვიხილავთ სობოლევის ნორმით, რომელიც უფრო სრულფასოვან შედეგებს იძლევა და ბუნებრივადაა დაკავშირებული განხილულ პრობლემებთან.

მოვიყვანოთ ზოგიერთი შედეგი. ნაშრომში განხილულია რეგრესიის ფუნქციის ინტეგრალური სახის არაწრფივი ინტეგრალური ფუნქციონალების სტატისტიკური შეფასების პრობლემა. დასაწყისში წარმოდგენილია რეგრესიის შემდეგი ტიპის მოდელი:

$$Y(t) = a(t) + \varepsilon(t), \qquad (\mathbf{1})$$

სადაც $t \in [0,1]$, $\varepsilon(\cdot)$ არის შეშფოთება ნულოვანი საშუალოთი და სასრული და მუდმივი დისპერსიით, $E\varepsilon(t) = 0$, $E\varepsilon^2(t) = \sigma^2 < \infty$, $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციაა, $a(t)$ კი - უცნობი რეგრესიის ფუნქციაა. დავუშვათ, გვაქვს n რიცხვი:

$$0 \le t_1 \le t_2 \le \cdots \le t_n \le 1,$$

სადაც თითოეული $t_k,\ k = 1,2,\dots,n$ დამოკიდებულია n-ზე, ისე, რომ $max_i|t_i - t_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$ და ამ წერტილებში გაგვაჩნია დაკვირვებები:

$$Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n).$$

უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის და მისი წარმოებულების შეფასებებად სხვადასხვა პარაგრაფებში წარმოდგენილია პრისტლი-ჩაოს, გასერ-მიულერის და ნადარაია-ვატსონის შეფასებები, რომლებიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა) პრისტლი-ჩაოს შემთხვევაში:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i), \tag{2}$$

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} W^{(k)}\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i) \tag{3}$$

ბ) გასერ-მიულერის შემთხვევაში:

$$\hat{a}_n(t) = \frac{1}{h_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \tag{4}$$

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{{h_n}^{k+1}} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W^{(k)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \tag{5}$$

სადაც, $0 = s_1 \leq s_2 \leq \cdots \leq s_n = 1,\ t_i \leq s_i \leq t_{i+1},\ i = 1, 2, 3, \dots, n-1$ და $max_i|s_i - s_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$;

გ) ნადარაია-ვატსონის შემთხვევაში:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} \frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)} \cdot Y(t_i), \tag{6}$$

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i) \tag{7}$$

სადაც

$$\frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)} \equiv \alpha(t, t_i, h_n).$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \dots, m$-თვის. აქ და ქვემოთ ყველგან ჩავთვლით, რომ $\hat{a}_n^{(0)}(t) \doteqdot \hat{a}_n(t)$. სამივე შემთხვევაში $\{h_n,\ n = 1,2, \dots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა.

ვთქვათ, $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ უწყვეტი, შემოსაზღვრული და გლუვი ფუნქციაა. განხილულია შემდეგი სახის ინტეგრალური ფუნქციონალი:

$$I(a) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, a(t), a'(t), \dots, a^{(m)}(t)\right) dt. \quad (\mathbf{8})$$

გვაქვს შერჩევა $(t_i, Y_i), i = 1, 2, \dots, n$. ეს ნიშნავს, რომ

$$Y_i = Y(t_i) = a(t_i) + \varepsilon(t_i). \quad (\mathbf{9})$$

$I(a)$-ს შეფასებისთვის ვიყენებთ ე.წ. "ჩასმის" შეფასებას. ანუ განვიხილავთ ფუნქციონალს:

$$I(\hat{a}_n) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}'_n(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

სამივე შემთხვევაში დამტკიცებულია ე.წ. წარმოდგენის თეორემები. ჩამოვთვალოთ ის პირობები, რომელთა შესრულებასაც მოვითხოვთ განხილული სიდიდეებისათვის.

პირობები $\boldsymbol{a}$-სათვის:

$(a1)$ $a = a(t)$ განსაზღვრულია და უწყვეტია [0, 1]-ზე, იგი მნიშვნელობებს იღებს $[-\Bbbk, \Bbbk]$ ინტერვალიდან;

$(a2)$ $a = a(t)$ ფუნქციას აქვს უწყვეტი წარმოებულები m რიგის ჩათვლით;

$(a3)$ ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-სათვის, $a^{(i)}(\cdot) \in L_1([0, 1])$.

პირობები $\boldsymbol{\varepsilon_k = \varepsilon(t_k)}$-სათვის:

$(\varepsilon1)$ ε_k, $k = 1, 2, \dots$ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია;

$(\varepsilon2)$ $E\varepsilon_k = 0$, $D\varepsilon_k^2 = \sigma^2 < \infty$;

$\varphi = \varphi(x, x_0, \dots, x_m) \in C_b^2(R^{m+2})$ ფუნქციისათვის შემოვიღოთ აღნიშვნები

$$\frac{\partial\varphi}{\partial x_i} = \varphi_{(i)},\ i = 0, 1, \dots, m \quad \text{და} \quad \frac{\partial^2\varphi}{\partial x_i \partial x_j} = \varphi_{(ij)},\ i, j = 0, 1, \dots, m.$$

პირობები $\boldsymbol{\varphi}$-სათვის:

(φ) $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია, ინტეგრებადია და გააჩნია მეორე რიგის ჩათვლით უწყვეტი წარმოებულები, რომელიღაც ღია, ამოზნექილ A არეში, რომელსაც შეიცავს $\mathbb{R} \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}$ სიმრავლე; ამასთან φ-ის პირველი და მეორე წარმოებულები თანაბრად შემოსაზღვრულია A არეში, რაღაც $C_\varphi > 0$ მუდმივით.

ამ პირობების თანახმად, φ ფუნქციისათვის ნებისმიერი $i, j = 0, 1, \dots, m$-თვის გვაქვს:

$$sup\left\{\left|\varphi_{(i,j)}\right|(s, s_0, s_1, \dots, s_m): (s, s_0, s_1, \dots, s_m) \in A\right\} \le C_\varphi.$$

პირობები W-სათვის:

$(W1)$ $\int_{-\infty}^{\infty} W(t)\, dt = 1$;

$(W2)$ $W(t)$ ფუნქციას გააჩნია კომპაქტური მატარებელი $[-\tau,\ \tau]$ და ის უწყვეტად წარმოებადია $m \geq 1$ რიგის ჩათვლით. მაშინ უწყვეტი $W^{(i)}(t)$, $i = 0, 1, \ldots, m$ ფუნქციებისთვის $W^{(i)}(-\tau) = W^{(i)}(\tau) = 0$; აღვნიშნოთ $C_W > 0$ მუდმივი, რომლისთვისაც

$$sup_{t\in R}\left|W^{(i)}(t)\right| \leq C_W < \infty, \qquad i = 0, 1, \ldots, m;$$

ცხადია, ნებისმიერი $i = 0, 1, \ldots, m$-თვის $W^{(i)} \in L_1([-\tau,\ \tau])$.

პირობები h_n-სათვის:

(h_n) $\dfrac{\sqrt{\max(|logh_n|;loglogn)}}{\sqrt{n}h_n^{0,5+m}} \to 0$, როცა $n \to \infty$.

თეორემა 1: თუ შესრულებულია ჩამოთვლილი პირობები მაშინ, გასერ-მიულერის სქემისთვის სამართლიანია

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = S_n(h_n) + R_n \qquad (\mathbf{10})$$

წარმოდგენა, სადაც S_n ის ტეილორის გაშლის ძირითადი შესაკრებია, რომელიც ჩვენს შემთხვევაში წარმოდგება, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეების ჯამი, ხოლო ნაშთით წევრს R_n-ს ალბათობით 1 აქვს რიგი

$$R_n = O\left(\frac{logn}{nh_n^{2m+2}}\right). \qquad (\mathbf{11})$$

თითოეული შემთხვევისათვის დამტკიცებულია $I(\hat{a}_n)$ შეფასების მკაცრად ძალდებულობა. მოვიყვანოთ ერთ-ერთი მათგანი.

თეორემა 2: ვთქვათ სრულდება თეორემა 1-ის პირობები. დადებითი $(h_n)_{n=1}^{\infty}$ მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ როცა $n \to \infty$

$$\frac{logn}{nh_n^{2m+2}} \to 0. \qquad (\mathbf{12})$$

მაშინ ალბათობით 1

$$I(\hat{a}_n) \to I(a). \qquad (\mathbf{13})$$

შემდეგ ნაბიჯად სამივე შემთხვევისთვის დამტკიცებულია ცენტრალური ზღვარითი თეორემა:

თეორემა 3: ვთქვათ სრულდება თეორემა 1-ის პირობები. მაშინ, თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, ადგილი აქვს კრებადობას

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2), \tag{14}$$

სადაც

$$r^2 = \sigma^2 \cdot \sum_{i=0}^{m} \left(\int_0^1 \varphi_{(i)} \left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \right)^2. \tag{15}$$

ეს თეორემა გამოყენებულია ზოგიერთი, პრაქტიკულად საინტერესო, ფუნქციონალისთვის.

ვთქვათ, $I_1(a) = \int_0^1 a^2(t)\, dt$. ამ შემთხვევაში $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^2$, როცა $x_0 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}]$, $b > 0$. მაშინ თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$, როცა $n \to \infty$, გვექნება შემდეგი კრებადობა:

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = 4\sigma^2 \left(\int_0^1 a(t) dt \right)^2.$$

განხილულია ფიშერის ინფორმაციული ინტეგრალი

$$I_2(a) = \int_0^1 \frac{\big(a'(t)\big)^2}{a(t)} dt.$$

ამ ფუნქციონალისთვის გვაქვს $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \frac{x_1^2}{x_2}$, $t \in [0,1]$, $a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \geq \mathbb{b}$. მაშინ თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$, როცა $n \to \infty$, გვექნება $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2)$, სადაც

$$r^2 = \sigma^2 \cdot \left(- \int_0^1 \left(\frac{\big(a'(t)\big)^2}{\big(a(t)\big)^2} - \frac{2a'(t)}{a(t)} \right) dt \right)^2$$
$$= \sigma^2 \left(\frac{a'(1)}{a(1)} log a(1) - \frac{a'(0)}{a(0)} log a(0) - \frac{1}{2} \cdot \frac{\big(a'(1)\big)^2}{\big(a(1)\big)^2} + \frac{1}{2} \cdot \frac{\big(a'(0)\big)^2}{\big(a(0)\big)^2} \right)^2.$$

განვიხილავთ $I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \big(a(t)\big)^s dt$ ფუნქციონალს $(s > 1)$, მაშინ $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^S$, $x_1 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}], b > 0$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$, როცა $n \to \infty$, მაშინ გვექნება

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = s^2\sigma^2\left(\int_0^1 a^{s-1}(t)dt\right)^2.$$

განხილულია შენონის ტიპის ენტროპიული ფუნქციონალი

$$I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t)loga(t)dt.$$

მაშინ გვაქვს $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \varphi(x_0) = x_0 log x_0,\ t \in [0,1] => a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \geq \mathbb{b}$. ამ შემთხვევაში თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$, როცა $n \to \infty$, გვექნება კრებადობა

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = \sigma^2\left(\int_0^1 a(t)\big(1 + loga(t)\big)dt\right)^2.$$

თითოეული შემთხვევისთვის დამტკიცებულია განმეორებითი ლოგარითმის თვისება. მოვიყვანოთ ერთ-ერთი მათგანი:

თეორემა 4: გასერ-მიულერის სქემაში, თუ h_n მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ

$$R_n = o\left(\sqrt{\frac{loglogn}{n}}\right), \tag{16}$$

მაშინ

$$\lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)}{\sqrt{2loglogn}} = r. \tag{17}$$

მომდევნო პარაგრაფში შესრულებულია რიცხვითი სიმულაციები, რომელიც გადმოცემულია ცხროლების და გრაფიკების საშუალებით. სიმულაციები ვიზუალურად ასაბუთებს თეორიულ შედეგებს.

ტექსტში ყველგან გამოყენებულია რამდენიმე ცნობილი დებულება. აქ მოგვყავს ამ დებულებების ფორმულირება მსჯელობისას ციტირების გასამარტივებლად. ეს დებულებები შეიძლება მოვიძიოთ მონოგრაფიაში [30].

მაკ-დაიარმიდის უტოლობა (McDiarmid inequality): ვთქვათ, $H(t_1, t_2, \dots, t_k)$ ისეთი ნამდვილი ფუნქციაა, რომ გარკვეული c_i-ებისთვის, ყოველი $i = 1, 2, \dots, k$-თვის სრულდება

$$|H(t_1, t_2, \dots, t_{i-1}, t_i, t_{i+1}, \dots, t_k) - H(t_1, t_2, \dots, t_{i-1}, t, t_{i+1}, \dots, t_k)| \le c_i \quad (\mathbf{18})$$

უტოლობები. ვთქვათ, $X_1, X_2, \dots, X_k$ არიან დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია მნიშვნელობებით $H(t_1, t_2, \dots, t_k)$ ფუნქციის განსაზღვრის არიდან. მაშინ, ნებისმიერი დადებითი ε-თვის სრულდება უტოლობა

$$P\{|H(X_1, X_2, \dots, X_k) - EH(X_1, X_2, \dots, X_k)| > \varepsilon\} \le 2exp\left(-\frac{2\varepsilon^2}{\sum_{i=1}^{k} c_i^2}\right). \quad (\mathbf{19})$$

იენსენის უტოლობა (Jensen's inequality): ყოველი $\varphi(x)$ ამოზნექილი ფუნქციისათვის და ყოველი X შემთხვევითი სიდიდისათვის სამართლიანია შემდეგი უტოლობა:

$$\varphi(E[X]) \le E[\varphi(X)] \quad (\mathbf{20})$$

ბორელი-კანტელის ლემა (Borel-Cantelli lemma): ვთქვათ, A_n, $n = 1,2, \dots$ ხდომილობათა მიმდევრობაა რაღაც ალბათურ სივრცეზე. თუ

$$\sum_{n=1}^{\infty} P\{A_n\} < \infty,$$

მაშინ ალბათობა იმისა, რომ მოხდება უსასრულოდ ბევრი A_n, არის 0-ის ტოლი:

$$P\left\{\lim_{n\to\infty} sup\, A_n\right\} = 0.$$

აქ

$$\lim_{n\to\infty} sup\, A_n = \bigcap_{n=1}^{\infty} \bigcup_{k=n}^{\infty} A_k\,.$$

ჰეფდინგის უტოლობა (Hoeffding's inequality): ვთქვათ, $X_1, X_2, \dots, X_n$ არიან ისეთი ნამდვილი დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეები, რომ ყოველი i-სათვის X_i იღებს მნიშვნელობებს $[r_i,\ p_i]$ ინტერვალიდან. შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\sum_{i=1}^{n} X_i \equiv Y_n.$$

მაშინ ნებისმიერი დადებითი t-სათვის სამართლიანი იქნება შემდეგი უტოლობა:

$$P\{\left|Y - E|Y|\right| \ge t\} \le 2exp\left(-\frac{2t^2}{\sum_{k=1}^{n}(r_i - p_i)^2}\right). \quad (\mathbf{21})$$

ზემოთ, მოკლედ აღწერილი, შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სტატიებში [27-29].

§1. რეგრესიის პრობლემის დასმა

რეგრესიის მოდელის განხილვა, გამოკვლევა და რეგრესიის ფუნქციის აგება ძალზე გავრცელებული სტატისტიკური პრობლემაა. რეგრესიის მოდელების შექმნა ძლიერი იარაღია დასაკვირვებელი ცვლადის მომავალი მნიშვნელობათა სიმრავლისა და საპროგნოზო მნიშვნელობების სანდოობის ინტერვალების შესაქმნელად, საზოგადოდ, მნიშვნელობების პროგნოზირებისათვის.

რეგრესიის ყველაზე მარტივი მოდელია წრფივი რეგრესიის მოდელი, რომელიც მოიცემა შემდეგი სახით:

$$Y(t) = \beta_0 + \beta_1 \cdot t + \varepsilon(t), \qquad (1.1)$$

სადაც $\varepsilon(t)$ არის ცდომილება და წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს, რომლის საშუალო ნულია და დისპერსია მუდმივია და სასრული: $E\varepsilon(t) = 0,\ E\varepsilon^2(t) = \sigma^2 < \infty$; $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციაა, რომლისთვისაც გაგვაჩნია $Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n)$ დაკვირვებები და ამ დაკვირვებებისათვის ასაგებია რეგრესიის ფუნქცია. თუ ეს მოდელი კარგად აღწერს რეალობას, მაშინ შესაძლებელია $\beta_i, i = 1,2$-ს შეფასების გამოთვლა, დასკვნების გაკეთება და პროგნოზი. პირველ ნახაზზე გარკვეული დაკვირვებებისათვის აგებულია წრფივი რეგრესიის ფუნქცია.



ნახაზი 1.

რა ხდება როდესაც წრფივი რეგრესია არ არის განსახილველი პროცესის ადექვატური? ამ დროს ალტერნატიული მიდგომაა არაწრფივი რეგრესიის მოდელი, რომელიც ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$Y(t) = a(t) + \varepsilon(t), \qquad t \in [0, 1]. \tag{1.2}$$

ცხადია, ამ ტოლობაში უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქცია არის $Y(t)$-ს მათემატიკური ლოდინი

$$a(t) = E\big(Y(t)\big).$$

$\varepsilon(\cdot)$ არის შეშფოთება ნულოვანი საშუალოთი და სასრული, არა აუცილებლად მუდმივი, დისპერსიით, $E\varepsilon(t) = 0,\ E\varepsilon^2(t) = \sigma^2(t) < \infty$; $Y(t)$ დაკვირვებადი შემთხვევითი ფუნქციაა. დავუშვათ, გვაქვს n წერტილი:

$$0 \le t_1 \le t_2 \le \cdots \le t_n \le 1,$$

სადაც თითოეული $t_k,\ k = 1, 2, \dots, n$ დამოკიდებულია n-ზე ისე რომ $max_i|t_i - t_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$. ამ წერტილებში გაგვაჩნია დაკვირვებები:

$$Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n).$$

ამ დაკვირვებების საშუალებით ხდება უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის შეფასება.

(1.2) მოდელის კვლევა, პირობების მოძებნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს $\varepsilon(t)$ შეშფოთება და ფუნქციების იმ კლასის დადგენა, რომელშიც უნდა ვეძებოთ $a(t)$ ფუნქციის სტატისტიკური შეფასება, წარმოადგენს არაპარამეტრული სტატისტიკის ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას. ცნობილია ამ მოდელის შესწავლის და რეგრესიის ფუნქციის აგების რამდენიმე მიდგომა. აღვწეროთ ჩვენი კვლევის ინტერესებში შემავალი მიდგომები.

უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის ერთ-ერთი შეფასება შემოღებულ იქნა პრისტლისა და ჩაოს მიერ (იხ. [10-11]) და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} W\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i), \tag{1.3}$$

სადაც, $\{h_n,\ n = 1,2, \dots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა. მათ მიერ განსაზღვრულია რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასებაც შემდეგნაირად

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} W^{(k)}\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i) \tag{1.4}$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \dots, m$-თვის. აქ და ქვემოთ ჩავთვლით, რომ $\hat{a}_n^{(0)}(t) \doteqdot \hat{a}_n(t)$.

რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის კიდევ ერთი შეფასება შემოღებულ იქნა გასერისა და მიულერის მიერ (იხ. [12-13]) შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \frac{1}{h_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \qquad (\mathbf{1.5})$$

სადაც, $0 = s_1 \leq s_2 \leq \cdots \leq s_n = 1,\ t_i \leq s_i \leq t_{i+1},\ i = 1, 2, 3, \ldots, n-1$ და $max_i|s_i - s_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$; $\{h_n,\ n = 1,2,\ldots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა. ამ შეფასებისთვისაც მათ მიერვეა განსაზღვრული უცნობი რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასებაც შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{{h_n}^{k+1}} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W^{(k)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \qquad (\mathbf{1.6})$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \ldots, m$-თვის.

ცნობილია, კიდევ ერთი შეფასება უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციისათვის. ეს შეფასება შემოღებულ იქნა ნადარაისა და ვატსონის მიერ (იხ. [8-9]) და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} \frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)} \cdot Y(t_i), \qquad (\mathbf{1.7})$$

სადაც, $\{h_n,\ n = 1,2,\ldots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა.

სიმარტივისთვის შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)} \equiv \alpha(t, t_i, h_n).$$

ნადარაია-ვატსონის შეფასება გადაიწერება შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i).$$

სამართლიანია

$$\sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) = 1$$

და

$$\sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) = 0$$

ტოლობები (აქ და შემდეგში ყველგან $\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)$-ში იგულისხმება k რიგის წარმოებული t ცვლადის მიმართ).

ასეთი აღნიშვნით ნადარაია-ვატსონის რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასება შემდეგნაირად ჩაიწერება

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i). \tag{1.7}$$

მეორე ნახაზზე გარკვეული დაკვირვებებისათვის აგებულია არაწრფივი რეგრესიის ფუნქცია.



ნახაზი 2.

ყველა აღწერილ შემთხვევაში დადგენილია შეფასებათა ძალდებულობისა და სხვა ასიმპტოტური თვისება.

§2. პრისტლი-ჩაოს შეფასებები და ფუნქციონალების ასიმპტოტური თვისებები

ვთქვათ, $a(t)$ არის რეგრესიის ფუნქცია. კერძო შემთხვევებში შეიძლება განხილული იქნეს შემდეგი ფუნქციონალები:

$$I_1(a) = \int_{-\infty}^{\infty} a^2(t)dt, \quad I_2(a) = \int_{-\infty}^{\infty} \frac{\left(a'(t)\right)^2}{a(t)} dt,$$

$$I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \left(a(t)\right)^s dt, \quad I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t) log a(t) dt.$$

ეს ფუნქციონალები ცალკე შესწავლის საგანია სხვადასხვა კვლევებისათვის. ჩვენ აქ გამოვიყენებთ მათთვის ერთიან მიდგომას, რომელიც დამყარებულია ე.წ. წარმოდგენის თეორემაზე.

განვიხილოთ პრისტლი-ჩაოს რეგრესიის მოდელი:

$$Y(t) = a(t) + \varepsilon(t), \tag{2.1}$$

სადაც $t \in [0,1]$, $\varepsilon(\cdot)$ არის შეშფოთება ნულოვანი საშუალოთი და სასრული და მუდმივი დისპერსიით, $E\varepsilon(t) = 0$, $E\varepsilon^2(t) = \sigma^2 < \infty$; $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციაა; $a(t)$ კი - უცნობი რეგრესიის ფუნქცია. დავუშვათ გვაქვს დაკვირვებათა n წერტილი:

$$0 \le t_1 \le t_2 \le \cdots \le t_n \le 1,$$

სადაც, თითოეული t_k, $k = 1, 2, \dots, n$ დამოკიდებულია n-ზე, ისე რომ $max_i |t_i - t_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$. ამ წერტილებში გაგვაჩნია დაკვირვებები: $Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n)$.

უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის ერთ-ერთი შეფასება შემოღებულ იქნა პრისტლისა და ჩაოს მიერ (იხ. [10-11]) და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} W\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i), \tag{2.2}$$

სადაც, $\{h_n,\ n = 1,2, \dots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა. მათ მიერვე განსაზღვრულია რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასებაც შემდეგნაირად

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} W^{(k)}\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i) \qquad (\mathbf{2.3})$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \dots, m$-თვის. აქ და ქვემოთ ჩავთვლით, რომ $\hat{a}_n^{(0)}(t) \doteqdot \hat{a}_n(t)$.

ვთქვათ, $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია და გლუვია. განვიხილოთ შემდეგი სახის ინტეგრალური ფუნქციონალი:

$$I(a) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, a(t), a'(t), \dots, a^{(m)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{2.4})$$

გვაქვს შერჩევა $(t_i, Y_i), i = 1, 2, \dots, n$. ეს ნიშნავს, რომ

$$Y_i = Y(t_i) = a(t_i) + \varepsilon(t_i). \qquad (\mathbf{2.5})$$

$I(a)$-ს შეფასებისთვის ვიყენებთ ე.წ. ”plug-in” შეფასებას. ანუ განვიხილავთ ფუნქციონალს:

$$I(\hat{a}_n) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

წარმოდგენის თეორემა

ამ ნაწილში მოვიყვანთ ”წარმოდგენის” თეორემას, საიდანაც მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო შედეგებს. ჩამოვაყალიბოთ პირობები განსახილველი სიდიდეებისათვის.

პირობები $\boldsymbol{a}$-სათვის:

$(a1)$ $a = a(t)$ განსაზღვრულია და უწყვეტია [0, 1]-ზე, იგი მნიშვნელობებს იღებს $[-\mathbb{k}, \mathbb{k}]$ ინტერვალიდან;

$(a2)$ $a = a(t)$ ფუნქციას აქვს უწყვეტი წარმოებულები m რიგის ჩათვლით;

$(a3)$ ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-სათვის, $a^{(i)}(\cdot) \in L_1([0, 1])$.

პირობები $\boldsymbol{\varepsilon_k = \varepsilon(t_k)}$-სათვის:

$(\varepsilon1)$ ε_k, $k = 1, 2, \dots$ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია;

$(\varepsilon2)$ $E\varepsilon_k = 0$, $D\varepsilon_k^2 = \sigma^2 < \infty$.

სიმარტივისთვის შემოვიღოთ აღნიშვნები $\varphi = \varphi(x, x_0, \dots, x_m) \in C_b^2(R^{m+2})$ ფუნქციისათვის

$$\frac{\partial \varphi}{\partial x_i} = \varphi_{(i)}, \ i = 0, 1, \dots, m \text{ და } \frac{\partial^2 \varphi}{\partial x_i \partial x_j} = \varphi_{(ij)}, \ i, j = 0, 1, \dots, m.$$

პირობები $\boldsymbol{\varphi}$-სათვის:

(φ) $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია, ინტეგრებადია და გააჩნია მეორე რიგის ჩათვლით უწყვეტი წარმოებულები, რომელიღაც ღია, ამოზნექილ A არეში, რომელსაც შეიცავს $\mathbb{R} \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}$ სიმრავლე; φ-ის პირველი და მეორე წარმოებულები თანაბრად შემოსაზღვრულია A არეში $C_\varphi > 0$ მუდმივით. ამ პირობების თანახმად, φ ფუნქციისათვის ნებისმიერი $i, j = 0, 1, \dots, m$-თვის გვაქვს:

$$sup\{|\varphi_{(i,j)}|(s, s_0, s_1, \dots, s_m): (s, s_0, s_1, \dots, s_m) \in A\} \le C_\varphi. \qquad \mathbf{(2.6)}$$

პირობები $\boldsymbol{W}$-სათვის:

$(W1)$ $\int_{-\infty}^{\infty} W(t)\, dt = 1$;

$(W2)$ $W(t)$ ფუნქციას გააჩნია კომპაქტური მატარებელი $[-\tau,\ \tau]$ და ის უწყვეტად წარმოებადია $m \ge 1$ რიგის ჩათვლით. მაშინ უწყვეტი $W^{(i)}(t)$, $i = 0, 1, \dots, m$ ფუნქციებისთვის $W^{(i)}(-\tau) = W^{(i)}(\tau) = 0$; აღვნიშნოთ $C_W > 0$ მუდმივი, რომლისთვისაც

$$sup_{t \in R}|W^{(i)}(t)| \le C_W < \infty, \qquad i = 0, 1, \dots, m;$$

ცხადია, ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-თვის $W^{(i)} \in L_1([-\tau,\ \tau])$.

პირობები $\boldsymbol{h_n}$-სათვის:

(h_n) $\quad \dfrac{\sqrt{\max(|logh_n|; loglogn)}}{\sqrt{n} h_n^{0,5+m}} \to 0,$ როცა $n \to \infty$.

$a_n(t)$-თი ავღნიშნოთ $\hat{a}_n(t)$-ს მათემატიკური ლოდინი:

$$a_n(t) = E\hat{a}_n(t) = E\left(\sum_{i=1}^{n} W\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot Y(t_i)\right) = \sum_{i=1}^{n} W\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot a(t_i).$$

ანალოგიურად,

$$a_n^{(k)}(t) = E\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} W^{(k)}\left(\frac{t - t_i}{h_n}\right) \cdot \frac{t_i - t_{i-1}}{h_n} \cdot a(t_i).$$

ვაჩვენოთ, რომ არსებობს და სასრულია გამოსახულებები: $I(a), I(a_n)$ და $I(\hat{a}_n)$.

ტეილორის ფორმულის თანახმად ნებისმიერი $(s, s_0, s_1, \dots, S_m) \in A$ წერტილისთვის და რაღაც $\tilde{s}_i \in A$-თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) = \left|\sum_{i=0}^{m} \varphi_{(i)}(s, 0,0, \dots,0) s_i + \frac{1}{2}\sum_{i,j=0}^{m} \varphi_{(i,j)}(s, \tilde{s}_0, \tilde{s}_1, \dots, \tilde{s}_m) s_i s_j\right|.$$

შესაბამისად, მოიძებნება მუდმივი C ისეთი, რომ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) \le C\left(\sum_{i=0}^{m}|s_i| + \sum_{i=0}^{m}|s_i|^2\right).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი შემოსაზღვრული ზომადი $f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)$ ფუნქციებისთვის $L_1(R)$-დან გვექნება

$$\int_{-\infty}^{\infty}|\varphi|\big(t, f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)\big)dt < \infty. \qquad (\mathbf{2.7})$$

ასე, რომ $I(a)$ არსებობს.

პირობები, რომლებიც შემოღებულია W-თვის გვაძლევს მის შემოსაზღვრულობას და ინტეგრებადობას. $(W2)$ პირობიდან და (2.6) და (2.7) ფორმულებიდან გამომდინარეობს რომ ორივე გამოსახულება $I(a_n)$ და $I(\hat{a}_n)$, სასრულია ნებისმიერი $n \in \mathbb{N}$-თვის. ტეილორის ფორმულის თანახმად შეგვიძლია დავწეროთ

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = S_n(h_n) + R_n, \qquad (\mathbf{2.8})$$

სადაც,

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m}\int_{0}^{1}\varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)dt. \qquad (\mathbf{2.9})$$

შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი $h_n > 0$-თვის $s_n(h_n)$ წარმოადგენს დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამს. R_n ნაშთით წევრს კი აქვს შემდეგი სახე:

$$R_n = \frac{1}{2}\cdot\sum_{i,j=1}^{m}\int_{0}^{1}\varphi_{(ij)}\left(\tilde{b}_m(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(j)}(t) - a_n^{(j)}(t)\right)dt. \qquad (\mathbf{2.10})$$

ამ ფორმულაში $\tilde{b}_m(t)$ არის $\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right)$ და $\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right)$ წერტილების შემაერთებელი წრფე.

$(\mathbf{2.7})$ და $(\mathbf{2.10})$ ფორმულებიდან ცხადია, შეგვიძლია R_n ნაშთითი წევრის შეფასება:

$$|R_n| \le C_\varphi \int_{0}^{1}\sum_{i=0}^{m}\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)^2 dt. \qquad (\mathbf{2.11})$$

ვთქვათ W_m^2 სობოლევის სივრცეა, ფუნქციებისა რომელთაც გააჩნიათ კვადრატთან ერთად ინტეგრებადი, უწყვეტი და შემოსაზღვრული მეორე რიგის წარმოებული. ამ სივრცეში ნორმა და სკალარული ნამრავლი ასე განისაზღვრება

$$\|g\|_m = \sqrt{\sum_{i=0}^{m} \int_0^1 |g^{(i)}(t)|^2 dt}, \quad \langle g_1, g_2 \rangle_m = \sqrt{\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left(g_1^{(i)}(t) \cdot g_2^{(i)}(t) \right) dt}.$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $r_n(m) = \|\hat{a}_n - a_n\|_m^2$. ვხედავთ, რომ

$$|R_n| \leq C_\varphi r_n(m). \qquad \mathbf{(2.12)}$$

ვთქვათ,

$$U_k = U_k(t) = W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot [Y(t_k) - a(t_k)], \qquad k = 1, 2, \dots, n,$$

სადაც $a(t_k) = EY(t_k)$. მაშინ

$$\sum_{k=1}^{n} U_k = \sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot [Y(t_k) - a(t_k)] =$$

$$= \sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot Y(t_k) - \sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot a(t_k) = \hat{a}_n(t) - a_n(t).$$

შესაბამისად,

$$r_n(m) = \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m^2. \qquad \mathbf{(2.13)}$$

ნებისმიერი $k = 1, 2, \dots, n$-თვის შევაფასოთ $(\mathbf{2.13})$ ფორმულის თითოეული U_k შესაკრები $\|\cdot\|_m$ ნორმით. გვექნება

$$\|U_k\|_m = \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| U_k^{(i)}(t) \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}} = \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| \left(W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot [Y(t_k) - a(t_k)] \right)^{(i)} \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}}$$

$$= \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| \frac{1}{h_n^i} \cdot W^{(i)}\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot [Y(t_k) - a(t_k)] \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}} =$$

$$= (t_k - t_{k-1}) \cdot |Y(t_k) - a(t_k)| \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| \frac{1}{h_n^{i+1}} \cdot W^{(i)}\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}} \leq \frac{|\varepsilon_k| C_W}{n} \cdot \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| \frac{1}{h_n^{i+1}} \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}}$$

$$= \frac{|\varepsilon_k| C_W}{n} \cdot \left(\sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^{2i+2}} \right)^{\frac{1}{2}} = \frac{|\varepsilon_k| C_W}{n} \cdot \left(\frac{1 - h_n^{2m+2}}{h_n^{2m+2}(1 - h_n^2)} \right)^{\frac{1}{2}} \leq L \cdot \frac{1}{n h_n^{m+1}} := M_m \sim O\left(\frac{1}{n h_n^{m+1}} \right) \qquad \mathbf{(2.14)}$$

საკმარისად დიდი $L > 0$-თვის.

$r_n(m)$-ის შეფასებისთვის გამოვიყენოთ მაკ-დაიარმიდის უტოლობა

$$H(U_1, U_2, \ldots, U_n) = \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m$$

ფუნქციისთვის. მივიღებთ

$$\left| H(U_1, U_2, \ldots, U_{i-1}, U_x, U_{i+1}, \ldots, U_n) - H\big(U_1, U_2, \ldots, U_{i-1}, U_y, U_{i+1}, \ldots, U_n\big) \right|$$

$$= \left| \left\| \sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_x \right\|_m - \left\| \sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_y \right\|_m \right|$$

$$\leq \left\| \left(\sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_x \right) - \left(\sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_y \right) \right\|_m$$

$$\leq \left\| U_x - U_y \right\|_m \leq \|U_x\|_m + \left\|U_y\right\|_m \leq 2M_m$$

მაშასადამე (**18**) გამოსახულების მიხედვით, ყოველი $c_k \equiv 2M_m,\ k = 1, \ldots, n$ (**19**) უტოლობის და ($\mathbf{2.14}$) შეფასების თანახმად კი ნებისმიერი $\delta > 0$-თვის გვექნება

$$P\left\{ \left| \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m - E \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m \right| > \delta \right\} \leq 2exp\left(-\frac{2\delta^2}{\sum_{k=1}^{n} 4M_m^2} \right) = 2exp\left(-\frac{2\delta^2}{n \cdot 4M_m^2} \right)$$
$$= 2exp\left(-\frac{2\delta^2 n^2 h_n^{2m+2}}{n \cdot 4L^2} \right) = 2exp\left(-\frac{\delta^2 n h_n^{2m+2}}{2L^2} \right).$$

აქ ჩავსვათ

$$\delta = \frac{2L\sqrt{logn}}{\sqrt{n} h_n^{m+1}}$$

და მივიღებთ

$$P\left\{ \left| \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m - E \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m \right| > \delta \right\} \leq 2exp\left(-\frac{4L^2 logn \cdot n h_n^{2m+2}}{n h_n^{2m+2} \cdot 2L^2} \right) = 2exp(-2logn) = \frac{2}{n^2}.$$

გამოვიყენოთ ბორელი-კანტელის ლემა. მივიღებთ

$$\left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m = E \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m + O\left(\frac{\sqrt{logn}}{\sqrt{n} h_n^{m+1}} \right). \qquad (\mathbf{2.15})$$

იენსენის უტოლობის თანახმად

$$\left(E\left\|\sum_{k=1}^{n}U_k\right\|_m\right)^2 \leq E\left\|\sum_{k=1}^{n}U_k\right\|_m^2 = E\sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1\left|\frac{1}{h_n^i}\cdot W^{(i)}\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\cdot\frac{t_k-t_{k-1}}{h_n}\cdot[Y(t_k)-a(t_k)]\right|^2 dt =$$

$$=\sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1 E\left|\frac{1}{h_n^i}\cdot W^{(i)}\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\cdot\frac{t_k-t_{k-1}}{h_n}\cdot[Y(t_k)-a(t_k)]\right|^2 dt \leq$$

$$\leq\frac{C_W^2}{n}\cdot\sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1\frac{1}{h_n^{2i+2}}\cdot E[Y(t_k)-a(t_k)]^2 dt \leq \frac{C_W^2\sigma^2}{n}\cdot\sum_{i=0}^{m}\frac{1}{h_n^{2i+2}} \leq$$

$$\leq\frac{C_W^2\sigma^2}{n}\cdot\frac{1-h_n^{2m+2}}{h_n^{2m+2}(1-h_n^2)} \leq K\cdot\frac{1}{nh_n^{2m+2}}, \qquad (\mathbf{2.16})$$

$(\mathbf{2.12})$, $(\mathbf{2.13})$, $(\mathbf{2.15})$ და $(\mathbf{2.16})$ ფორმულებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ $R_n = O\left(\frac{logn}{nh_n^{2m+2}}\right)$.

ასე, რომ სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 2.1. ვთქვათ, სრულდება $(a1)-(a3), (\varepsilon1)-(\varepsilon3), (\varphi), (W1)-(W2)$ და (h) პირობები. მაშინ, სამართლიანია $(\mathbf{2.8})$ ტოლობა, სადაც ნაშთით წევრს ალბათობით 1 აქვს შემდეგი რიგი

$$R_n = O\left(\frac{logn}{nh_n^{2m+2}}\right).$$

ძალდებულობა

ამ ნაწილში გამოვიყენებთ თეორემა 2.1-ს და დავამტკიცებთ $I(\hat{a}_n)$ შეფასების მკაცრად ძალდებულობას.

თეორემა 2.2. ვთქვათ სრულდება თეორემა 2.1-ის პირობები. დადებითი $(h_n)_{n=1}^{\infty}$ მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ

$$\frac{logn}{nh_n^{2m+2}} \to 0 \text{ როცა } n\to\infty. \qquad (\mathbf{2.18})$$

მაშინ ალბათობით 1

$$I(\hat{a}_n) \to I(a) \qquad (\mathbf{2.19})$$

დამტკიცება: თეორემა 1-ის და $(\mathbf{2.8})$ ფორმულის თანახმად

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = S_n(h_n) + R_n, \qquad (\mathbf{2.20})$$

სადაც $R_n = o(1)$ და

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \varphi_{(i)} \left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) \left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right) dt.$$

$(a1)$ პირობიდან:

$$\left\{\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) : t \in [0,1]\right\} \subset [0,1] \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}.$$

ამიტომ, (φ) პირობის გათვალისწინებით, მოიძებნება ისეთი $C_\varphi > 0$ მუდმივი, რომ

$$sup\left\{\left|\varphi_{(i)}\right|(t, t_0, t_1, \dots, t_m) : (t, t_0, t_1, \dots, t_m) \in [0,1] \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}\right\} \le C_\varphi.$$

შეგვიძლია დავწეროთ:

$$ES_n(h_n) = 0$$

$$DS_n(h_n) = ES_n^2(h_n) \le C_\varphi^2 \cdot \sum_{i=0}^{m} \int_0^1 E\left[\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right] dt$$

$$\le C_\varphi^2 \cdot \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left|\sum_{k=0}^{n} \frac{1}{h_n^i} \cdot W^{(i)}\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot E[Y(t_k) - a(t_k)]\right|^2 dt$$

$$\le C_\varphi^2 C_W^2 \sigma^2 \cdot \sum_{k=0}^{n} (t_k - t_{k-1})^2 \cdot \sum_{u=0}^{m} \left(\frac{1}{h_n^{i+1}}\right)^2 \sim C \cdot \frac{1}{nh_n^{2m+2}} \to 0 \qquad (\mathbf{2.21})$$

რადგან $\frac{logn}{nh_n^{2m+2}} \to 0$ და ამიტომ $S_n(h_n) \to 0$ როცა $n \to \infty$.

$$Ea_n^{(k)}(t) = \int_{-\tau}^{\tau} W(u) a^{(k)}(t)\,(t - uh_n) du + O\left(\frac{1}{nh_n^k}\right).$$

აქედან შეიძლება დავასკვნათ:

i) $(\mathbf{2.17})$ ფორმულიდან გამომდინარე ნულისკენ კრებადია $\frac{1}{nh_n^k}$, ნებისმიერი $k = 0,1, \dots, m$-თვის;

ii) როცა $n \to \infty$ გვაქვს $Ea_n^{(k)}(t) \to a^{(k)}(t)$.

შევაჯამოთ ნათქვამი და მივიღებთ, რომ როცა $n \to \infty$ გვექნება

$$I(a_n) = \int_0^1 \varphi\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \to \int_0^1 \varphi\left(t, a(t), a'(t), \dots, a^{(m)}(t)\right) dt = I(a).$$

ასე, რომ $I(\hat{a}_n) - I(a_n) = o(1)$ ანუ $I(\hat{a}_n) - I(a) \to 0$. თეორემა დამტკიცებულია.

ცენტრალური ზღვარითი თეორემა

ჩვენი წარმოდგენის თეორემის გამოყენებით შეიძლება მივიღოთ ზღვარითი განაწილების თვისება ინტეგრალური ფუნქციონალისთვის

$$I(\hat{a}_n) = \int_0^1 \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

განვიხილოთ სხვაობა

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = s_n(h_n) + R_n \qquad (\mathbf{2.8})$$

სადაც ნებისმიერი $h_n > 0$-თვის, $s_n(h_n)$ წარმოადგენს დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამს.

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{2.9})$$

R_n ნაშთით წევრს კი აქვს შემდეგი სახე:

$$R_n = \frac{1}{2} \cdot \sum_{i,j=1}^{m} \int_0^1 \varphi_{(ij)}\left(\tilde{b}_m(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(j)}(t) - a_n^{(j)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{2.10})$$

ცხადია, რომ

$$ES_n(h_n) = 0 \text{ და } ER_n \to 0 \text{ როცა } n \to \infty. \qquad (\mathbf{2.23})$$

გარდა ამისა

$$E\big(S_n(h_n)\big)^2 = \sigma^2 \sum_{i=0}^{m} \left(\int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \right)^2 \qquad (\mathbf{2.24})$$

და $\mathrm{Var} R_n \to 0$ როცა $n \to \infty$.

ამ პირობებში დავამტკიცოთ, რომ $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)$ სიდიდე ასიმპტოტურად ნორმალურია და გამოვთვალოთ ზღვარითი ვარიაცია. ($\mathbf{2.8}$), ($\mathbf{2.23}$) და ($\mathbf{2.24}$) ფორმულების საშუალებით უნდა ვაჩვენოთ $\sqrt{n}S_n(h_n)$ სიდიდის ასიმპტოტურად ნორმალურობა.

ამისთვის საკმარისია ეს თვისება შევისწავლოთ შემდეგი სიდიდისთვის:

$$d_k = Y(t_k) \cdot \sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^i} \cdot \int_0^1 W^{(i)}\left(\frac{t - t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \qquad (\mathbf{2.25})$$

ადვილი შესამჩნევია, რომ

$$Ed_k = a(t_k) \cdot \sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^i} \cdot \int_0^1 W^{(i)}\left(\frac{t-t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \qquad (\mathbf{2.26})$$

ანუ ვიხილავთ დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების მიმდევრობას:

$$f_n(k) = \alpha(n,k)\big(Y(t_k) - a(t_k)\big) = \alpha(n,k)\varepsilon_k$$

სადაც

$$\alpha(n,k) = \sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^i} \cdot \int_0^1 W^{(i)}\left(\frac{t-t_k}{h_n}\right) \cdot \frac{t_k - t_{k-1}}{h_n} \cdot \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt$$

განვიხილოთ ჯამი

$$S_n(h_n) = \sum_{k=1}^{n} \alpha(n,k)\varepsilon_k.$$

ვთქვათ, $F_{k,n}$ არის $\alpha(n,k)\varepsilon_k$ შემთხვევითი სიდიდეების ალბათური განაწილების ფუნქცია, F_ε – კი ε_k შემთხვევითი სიდიდეების ალბათური განაწილების ფუნქცია.

ლინდებერგის პირობას აქვს შემდეგი სახე $\forall\delta > 0$, $lim_{n\to\infty} L_n(\delta) = 0$ სადაც

$$L_n(\delta) = \frac{\sum_{j=1}^{n} \int x^2 J\left(|x| \geq \delta\sigma\left(\sum_{k=1}^{n} \alpha^2(n,k)\right)^{1/2}\right) dF_{k,n}(x)}{\sigma^2 \sum_{k=1}^{n} \alpha^2(n,k)}$$

სადაც $J(A)$ წარმოადგენს A სიმრავლის ინდიკატორ ფუნქციას. ადვილი დასანახია, რომ

$$L_n(\delta) \leq \frac{1}{\sigma^2} max_{1\leq j\leq n} \int x^2 J\big(|x| \geq \delta\sigma v(n,j)\big) dF_\varepsilon,$$

სადაც

$$v(n,j) = \frac{|\alpha(n,j)|}{\left(\sum_{j=1}^{n} \alpha^2(n,j)\right)^{1/2}}.$$

საჩვენებელი რჩება, რომ $max_{1\leq j\leq n} v(n,j) \to 0$ როცა $n \to \infty$. მაგრამ რადგანაც

$$max_{1\leq j\leq n} |\alpha(n,j)| = O\left(\frac{1}{n h_n^{m+1}}\right),$$

ანუ

$$max_{1\le j\le n} v(n,j) = O\left(\frac{1}{\sqrt{n}}\right).$$

ასე, რომ ლინდერბერგის პირობა სრულდება და შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ

თეორემა 2.3: ვთქვათ სრულდება თეორემა 1-ის პირობები. მაშინ, თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, სამართლიანია $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2)$. სადაც

$$r^2 = \sigma^2 \cdot \sum_{i=0}^{m}\left(\int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt\right)^2.$$

ზოგიერთი გამოყენება

განვიხილოთ ინტეგრალური ფუნქციონალი

$$I_1(a) = \int_0^1 a^2(t)\, dt$$

ამ შემთხვევაში $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^2$, როცა $x_0 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}], b > 0$. მაშინ თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, მაშინ

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = 4\sigma^2\left(\int_0^1 a(t)dt\right)^2.$$

განვიხილოთ ფიშერის ინფორმაციული ინტეგრალი.

$$I_2(a) = \int_0^1 \frac{\big(a'(t)\big)^2}{a(t)} dt.$$

ამ ფუნქციონალისთვის გვაქვს $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \frac{x_1^2}{x_2}$, $t \in [0,1] => a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \ge \mathbb{b}$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, მაშინ

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = \sigma^2 \cdot \left(-\int_0^1 \left(\frac{\left(a'(t)\right)^2}{\left(a(t)\right)^2} - \frac{2a'(t)}{a(t)} \right) dt \right)^2$$

$$= \sigma^2 \left(\frac{a'(1)}{a(1)} loga(1) - \frac{a'(0)}{a(0)} loga(0) - \frac{1}{2} \cdot \frac{\left(a'(1)\right)^2}{\left(a(1)\right)^2} + \frac{1}{2} \cdot \frac{\left(a'(0)\right)^2}{\left(a(0)\right)^2} \right)^2.$$

ახლა განვიხილოთ

$$I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \left(a(t)\right)^s dt$$

ფუნქციონალი $(s > 1)$. მაშინ $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^S$, როცა $x_1 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}], b > 0$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n} h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, მაშინ

$$\sqrt{n}\left(I(\hat{a}_n) - I(a_n)\right) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = s^2 \sigma^2 \left(\int_0^1 a^{s-1}(t) dt \right)^2.$$

ბოლოს განვიხილოთ შენონის ენტროპიის ფუნქციონალი

$$I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t) loga(t) dt$$

მაშინ რომელიღაც საკმარისად დიდი $b \geq \mathbb{k} > 0$-თვის თუ $0 < x_0 \leq b$ გვაქვს

$$\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \varphi(x_0) = x_0 log x_0.$$

განვსაზღვროთ φ ფუნქცია 0-მდე, $\varphi(x) = 0$ როცა $-b \leq x \leq 0$. მაშინ $t \in [0,1] => a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \geq \mathbb{b}$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n} h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, გვექნება

$$\sqrt{n}\left(I(\hat{a}_n) - I(a_n)\right) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = \sigma^2 \left(\int_0^1 a(t)\left(1 + loga(t)\right) dt \right)^2.$$

განმეორებითი ლოგარითმის თვისება

გამოვიყენოთ კულბსის (იხ. [31]) შედეგი განმეორებითი ლოგარითმის შესახებ და ჩამოვაყალიბოთ შემდეგი

თეორემა 2.4. თუ h_n მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ

$$R_n = o\left(\sqrt{\frac{loglogn}{n}}\right),$$

მაშინ

$$\lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)}{\sqrt{2loglogn}} = r.$$

დამტკიცება. მართლაც, ადვილი დასანახია, რომ

$$\lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)}{\sqrt{2loglogn}} = \lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(\alpha(n,k)Y(t_k) - \alpha(n,k)a(t_k)\big)}{\sqrt{2loglogn}} = r.$$

§3. გასერ-მიულერის შეფასებები და ფუნქციონალების ასიმპტოტური თვისებები

ზემოთ მოყვანილი

$$I_1(a) = \int_{-\infty}^{\infty} a^2(t)dt, \quad I_2(a) = \int_{-\infty}^{\infty} \frac{\left(a'(t)\right)^2}{a(t)}dt,$$

$$I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \left(a(t)\right)^s dt, \quad I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t)loga(t)dt.$$

ფუნქციონალები საინტერესოა გასერ-მიულერის შეფასებებისთვისაც.

ვთქვათ $a(t)$ არის რეგრესიის ფუნქცია გასერ-მიულერის სქემაში. ამ შემთხვევისთვისაც გვაქვს ცნობილი რეგრესიის მოდელი:

$$Y(t) = a(t) + \varepsilon(t), \tag{3.1}$$

სადაც $t \in [0,1]$, $\varepsilon(\cdot)$ არის შეშფოთება ნულოვანი საშუალოთი და სასრული დისპერსიით, $E\varepsilon(t) = 0$, $E\varepsilon^2(t) = \sigma^2 < \infty$, $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციაა, $a(t)$ კი - უცნობი რეგრესიის ფუნქცია, რომელიც არის $Y(t)$-ს მათემატიკური ლოდინი. დავუშვათ გვაქვს n წერტილი:

$$0 \le t_1 \le t_2 \le \cdots \le t_n \le 1,$$

სადაც თითოეული t_k, $k = 1,2,\dots,n$ დამოკიდებულია n-ზე. ამ წერტილებში გაგვაჩნია დაკვირვებები:

$$Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n).$$

უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის კიდევ ერთი შეფასება შემოღებულ იქნა გასერისა და მიულერს მიერ (იხ. [12-13]) და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \frac{1}{h_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \tag{3.2}$$

სადაც, $0 = s_1 \le s_2 \le \cdots \le s_n = 1$, $t_i \le s_i \le t_{i+1}$, $i = 1,2,3,\dots,n-1$ და $max_i|s_i - s_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$; $\{h_n,\ n = 1,2,\dots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი -

ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა. მათ მიერ განსაზღვრულია რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასებაც შემდეგნაირად

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{{h_n}^{k+1}} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W^{(k)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i), \qquad (\mathbf{3.3})$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \ldots, m$-თვის. აქ და ქვემოთ ჩავთვლით, რომ $\hat{a}_n^{(0)}(t) \doteqdot \hat{a}_n(t)$.

ავიღოთ $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია, რომელიც იქნება უწყვეტი, შემოსაზღვრული და გლუვი და განვიხილოთ შემდეგი სახის ინტეგრალური ფუნქციონალი:

$$I(a) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, a(t), a'(t), \ldots, a^{(m)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{3.4})$$

გვაქვს შერჩევა $(t_i, Y_i), i = 1, 2, \ldots, n$. ეს ნიშნავს, რომ

$$Y_i = Y(t_i) = a(t_i) + \varepsilon(t_i). \qquad (\mathbf{3.5})$$

$I(a)$-ს შეფასებისთვის ვიყენებთ ე.წ. ”ჩასმის” შეფასებას, ანუ ვიხილავთ ფუნქციონალს:

$$I(\hat{a}_n) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \ldots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

აქ $\hat{a}_n^{(k)}(t)$ განსაზღვრულია $(\mathbf{3.3})$ ფორმულიდან.

წარმოდგენის თეორემა

ამ ნაწილში მოვიყვანთ ”წარმოდგენის” თეორემას, საიდანაც მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო შედეგებს. ჩამოვაყალიბოთ პირობები განსახილველი სიდიდეებისათვის.

პირობები $\boldsymbol{a}$-სათვის:

$(a1)$ $a = a(t)$ განსაზღვრულია და უწყვეტია [0, 1]-ზე, იგი მნიშვნელობებს იღებს $[-\mathbb{k}, \mathbb{k}]$ ინტერვალიდან;

$(a2)$ $a = a(t)$ ფუნქციას აქვს უწყვეტი წარმოებულები m რიგის ჩათვლით;

$(a3)$ ნებისმიერი $i = 0, 1, \ldots, m$-სათვის, $a^{(i)}(\cdot) \in L_1([0, 1])$.

პირობები $\boldsymbol{\varepsilon_k = \varepsilon(t_k)}$-სათვის:

$(\varepsilon 1)$ ε_k, $k = 1, 2, \ldots$ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია;

$(\varepsilon 2)$ $E\varepsilon_k = 0$, $D\varepsilon_k^2 = \sigma^2 < \infty$.

შემოვიღოთ აღნიშვნები $\varphi = \varphi(x, x_0, \dots, x_m) \in C_b^2(R^{m+2})$ ფუნქციისათვის

$$\frac{\partial \varphi}{\partial x_i} = \varphi_{(i)},\ i = 0, 1, \dots, m \text{ და } \frac{\partial^2 \varphi}{\partial x_i \partial x_j} = \varphi_{(ij)},\ i, j = 0, 1, \dots, m.$$

პირობები $\boldsymbol{\varphi}$-სათვის:

(φ) $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია, ინტეგრებადია და მას გააჩნია მეორე რიგის ჩათვლით უწყვეტი წარმოებულები, რომელიღაც ღია, ამოზნექილ A არეში, რომელსაც შეიცავს $\mathbb{R} \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}$ სიმრავლე; φ-ის პირველი და მეორე წარმოებულები თანაბრად შემოსაზღვრულია A არეში $C_\varphi > 0$ მუდმივით. ამ პირობების თანახმად, φ ფუნქციისათვის ნებისმიერი $i, j = 0, 1, \dots, m$-თვის გვაქვს:

$$sup\left\{\left|\varphi_{(i,j)}\right|(s, s_0, s_1, \dots, s_m): (s, s_0, s_1, \dots, s_m) \in A\right\} \le C_\varphi. \qquad (\mathbf{3.6})$$

პირობები $\boldsymbol{W}$-სათვის:

$(W1)$ $\int_{-\infty}^{\infty} W(t)\, dt = 1$;

$(W2)$ $W(t)$ ფუნქცია უწყვეტად წარმოებადია $m \ge 1$ რიგის ჩათვლით; უწყვეტ $W^{(i)}(t)$, $i = 0, 1, \dots, m$ ფუნქციებს აქვთ კომპაქტური მატარებელი $[-\tau,\ \tau]$. შესაბამისად, $W^{(i)}(-\tau) = W^{(i)}(\tau) = 0$; შესაბამისად მოიძებნება $C_W > 0$ მუდმივი, რომლისთვისაც

$$sup_{t \in R}\left|W^{(i)}(t)\right| \le C_W < \infty, \qquad i = 0, 1, \dots, m.$$

ცხადია, ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-თვის $W^{(i)} \in L_1([-\tau,\ \tau])$.

პირობები $\boldsymbol{h_n}$-სათვის:

(h) $\quad \dfrac{\sqrt{\max(|logh_n|; loglogn)}}{\sqrt{n} h_n^{0,5+m}} \to 0$, როცა $n \to \infty$.

$a_n(t)$-თი ავღნიშნოთ $\hat{a}_n(t)$-ს მათემატიკური ლოდინი:

$$a_n(t) = E\hat{a}_n(t) = E\left(\frac{1}{h_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_i)\right) = \frac{1}{h_n} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot a(t_i).$$

ანალოგიურად,

$$a_n^{(k)}(t) = E\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{{h_n}^{k+1}} \cdot \sum_{i=1}^{n} \int_{s_{i-1}}^{s_i} W^{(k)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot a(t_i).$$

ვაჩვენოთ, რომ არსებობს და სასრულია გამოსახულებები: $I(a), I(a_n)$ და $I(\hat{a}_n)$.

ტეილორის ფორმულის თანახმად ნებისმიერი $(s, s_0, s_1, \dots, S_m) \in A$ წერტილისთვის და რაღაც $\tilde{s}_i \in A$-თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) = \left| \sum_{i=0}^{m} \varphi_{(i)}(s, 0,0, \dots ,0) s_i + \frac{1}{2} \sum_{i,j=0}^{m} \varphi_{(i,j)}(s, \tilde{s}_0, \tilde{s}_1, \dots, \tilde{s}_m) s_i s_j \right|.$$

შესაბამისად, მოიძებნება მუდმივი C ისეთი, რომ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) \le C \left(\sum_{i=0}^{m} |s_i| + \sum_{i=0}^{m} |s_i|^2 \right).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი შემოსაზღვრული ზომადი $f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)$ ფუნქციებისთვის $L_1(R)$-დან გვექნება

$$\int_{-\infty}^{\infty} |\varphi|\big(t, f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)\big) dt < \infty. \qquad (\mathbf{3.7})$$

ასე, რომ $I(a)$ არსებობს.

პირობები, რომლებიც შემოღებულია W-თვის გვაძლევს მის შემოსაზღვრულობას და ინტეგრებადობას. $(W2)$ პირობიდან და $(\mathbf{3.6})$ და $(\mathbf{3.7})$ ფორმულებიდან გამომდინარეობს ორივე გამოსახულება $I(a_n)$ და $I(\hat{a}_n)$, სასრულია ნებისმიერი $n \in \mathbb{N}$-თვის.

ტეილორის ფორმულის თანახმად

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = S_n(h_n) + R_n, \qquad (\mathbf{3.8})$$

სადაც,

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m} \int_{0}^{1} \varphi_{(i)} \left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t) \right) \left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t) \right) dt. \qquad (\mathbf{3.9})$$

შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი $h_n > 0$-თვის, $s_n(h_n)$ წარმოადგენს დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამს. R_n ნაშთით წევრს კი აქვს შემდეგი სახე:

$$R_n = \frac{1}{2} \cdot \sum_{i,j=1}^{m} \int_{0}^{1} \varphi_{(ij)} \left(\tilde{b}_m(t) \right) \left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t) \right) \left(\hat{a}_n^{(j)}(t) - a_n^{(j)}(t) \right) dt. \qquad (\mathbf{3.10})$$

ამ ფორმულაში $\tilde{b}_m(t)$ არის $\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t) \right)$ და $\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t) \right)$ წერტილების შემაერთებელი წრფე.

$(\mathbf{3.7})$ და $(\mathbf{3.10})$ ფორმულებიდან ცხადია, შეგვიძლია R_n ნაშთითი წევრის შეფასება:

$$|R_n| \le C_\varphi \int_0^1 \sum_{i=0}^{m} \left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)^2 dt. \qquad (\mathbf{3.11})$$

ვთქვათ, W_m^2 სობოლევის სივრცეა ფუნქციებისა რომლებიც არიან კვადრატთან ერთად ინტეგრებადი, უწყვეტი და გააჩნიათ შემოსაზღვრული მეორე რიგის წარმოებული. ამ სივრცეში ნორმა და სკალარული ნამრავლი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\|g\|_m = \sqrt{\sum_{i=0}^{m} \int_0^1 |g^{(i)}(t)|^2 dt}, \quad \langle g_1, g_2 \rangle_m = \sqrt{\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left(g_1^{(i)}(t) \cdot g_2^{(i)}(t)\right) dt}.$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $r_n(m) = \|\hat{a}_n - a_n\|_m^2$. ვხედავთ, რომ

$$|R_n| \le C_\varphi r_n(m). \qquad (\mathbf{3.12})$$

ვთქვათ,

$$U_k = U_k(t) = \frac{1}{h_n} \cdot \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot [Y(t_k) - a(t_k)], \qquad k = 1, 2, \dots, n,$$

სადაც $a(t_k) = EY(t_k)$, მაშინ

$$\sum_{k=1}^{n} U_k = \sum_{k=1}^{n} \frac{1}{h_n} \cdot \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot [Y(t_k) - a(t_k)] =$$
$$= \sum_{k=1}^{n} \frac{1}{h_n} \cdot \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot Y(t_k) - \sum_{k=1}^{n} \frac{1}{h_n} \cdot \int_{s_{i-1}}^{s_i} W\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot a(t_k) = \hat{a}_n(t) - a_n(t).$$

შესაბამისად,

$$r_n(m) = \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m^2. \qquad (\mathbf{3.13})$$

ნებისმიერი $k = 1, 2, \dots, n$-თვის შევაფასოთ $(\mathbf{3.13})$ ფორმულის თითოეული U_k შესაკრების $\|\cdot\|_m$ ნორმა. გვექნება

$$\|U_k\|_m = \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left|U_k^{(i)}(t)\right|^2 dt\right)^{\frac{1}{2}} = \left(\sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left|\frac{1}{{h_n}^{i+1}} \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot [Y(t_k) - a(t_k)]\right|^2 dt\right)^{\frac{1}{2}}$$

$$= \left(\sum_{i=0}^{m} \frac{1}{{h_n}^{2i+2}} \int_0^1 \left| h_n \cdot \int_{\frac{t-s_k}{h_n}}^{\frac{t-s_{k-1}}{h_n}} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) d\left(\frac{t-u}{h_n}\right) \right|^2 \cdot [Y(t_k) - a(t_k)]^2 dt \right)^{\frac{1}{2}} =$$

$$= |Y(t_k) - a(t_k)| \left(\sum_{i=0}^{m} \frac{1}{{h_n}^{2i}} \int_0^1 \left| \int_{\frac{t-s_k}{h_n}}^{\frac{t-s_{k-1}}{h_n}} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) d\left(\frac{t-u}{h_n}\right) \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}}$$

$$\le 2|\varepsilon_k| C_W \cdot \left(\sum_{i=0}^{m} \frac{1}{{h_n}^{2i}} \int_0^1 \left| \frac{t-s_{k-1}}{h_n} - \frac{t-s_k}{h_n} \right|^2 dt \right)^{\frac{1}{2}} = 2|\varepsilon_k| C_W \cdot |s_k - s_{k-1}| \left(\sum_{i=0}^{m} \frac{1}{{h_n}^{2i}} \right)^{\frac{1}{2}} =$$

$$= \frac{|\varepsilon_k| C_W}{n} \cdot \left(\frac{1 - h_n^{2m+2}}{h_n^{2m+2}(1 - h_n^2)} \right)^{\frac{1}{2}} \le L \cdot \frac{1}{n h_n^{m+1}} := M_m \sim O\left(\frac{1}{n h_n^{m+1}}\right) \qquad (\mathbf{3.14})$$

საკმარისად დიდი $L > 0$-თვის.

$r_n(m)$-ის შეფასებისთვის გამოვიყენოთ მაკ-დაიარმიდის უტოლობა

$$H(U_1, U_2, \dots, U_n) = \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m$$

ფუნქციისთვის.

$$\left| H(U_1, U_2, \dots, U_{i-1}, U_x, U_{i+1}, \dots, U_n) - H\big(U_1, U_2, \dots, U_{i-1}, U_y, U_{i+1}, \dots, U_n\big) \right|$$
$$= \left| \left\| \sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_x \right\|_m - \left\| \sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_y \right\|_m \right|$$
$$\le \left\| \left(\sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_x \right) - \left(\sum_{k=1, k\neq i}^{n} U_k + U_y \right) \right\|_m$$
$$\le \|U_x - U_y\|_m \le \|U_x\|_m + \|U_y\|_m \le 2M_m$$

მაშასადამე (**18**) პირობებში ყოველი $c_k \equiv 2M_m,\ k = 1, \dots, n$ (**19**) უტოლობის და (**3.14**) შეფასების თანახმად, ნებისმიერი $\delta > 0$-თვის გვექნება

$$P\left\{ \left| \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m - E \left\| \sum_{k=1}^{n} U_k \right\|_m \right| > \delta \right\} \le 2exp\left(-\frac{2\delta^2}{\sum_{k=1}^{n} 4M_m^2} \right) = 2exp\left(-\frac{2\delta^2}{n \cdot 4M_m^2} \right)$$

$$= 2exp\left(-\frac{2\delta^2 n^2 h_n^{2m+2}}{n \cdot 4L^2}\right) = 2exp\left(-\frac{\delta^2 n h_n^{2m+2}}{2L^2}\right).$$

აქ ჩავსვათ

$$\delta = \frac{2L\sqrt{logn}}{\sqrt{n}h_n^{m+1}}$$

და მივიღებთ

$$P\left\{\left|\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m - E\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m\right| > \delta\right\} \le 2exp\left(-\frac{4L^2 logn \cdot nh_n^{2m+2}}{nh_n^{2m+2} \cdot 2L^2}\right) = 2exp(-2logn) = \frac{2}{n^2}.$$

გამოვიყენოთ ბორელი-კანტელის ლემა. მივიღებთ

$$\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m = E\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m + O\left(\frac{\sqrt{logn}}{\sqrt{n}h_n^{m+1}}\right). \qquad (\mathbf{3.15})$$

იენსენის უტოლობის თანახმად

$$\left(E\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m\right)^2 \le E\left\|\sum_{k=1}^{n} U_k\right\|_m^2 = E\sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1 \left|\frac{1}{h_n{}^{i+1}} \cdot \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot [Y(t_k) - a(t_k)]\right|^2 dt$$

$$= \sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1 E\left|\frac{1}{h_n{}^{i+1}} \cdot \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot [Y(t_k) - a(t_k)]\right|^2 dt$$

$$\le 2C_W^2 \cdot \sum_{k=1}^{n}\sum_{i=0}^{m}\int_0^1 \frac{1}{h_n^{2i+2}} \cdot \left|\int_{s_{k-1}}^{s_k} du\right|^2 \cdot E[Y(t_k) - a(t_k)]^2 dt$$

$$= 2C_W^2\sigma^2 \cdot \frac{1 - h_n^{2m+2}}{h_n^{2m+2}(1 - h_n^2)} \cdot \sum_{k=1}^{n}(s_k - s_{k-1})^2 \le K \cdot \frac{1}{nh_n^{2m+2}}, \qquad (\mathbf{3.16})$$

$(\mathbf{3.12})$, $(\mathbf{3.13})$, $(\mathbf{3.15})$ და $(\mathbf{3.16})$ ფორმულებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

$$R_n = O\left(\frac{logn}{nh_n^{2m+2}}\right).$$

ასე, რომ სამართლიანია შემდეგი თეორემა.

თეორემა 3.1. ვთქვათ სრულდება $(a1)-(a3),(\varepsilon 1)-(\varepsilon 3),(\varphi),(W1)-(W2)$ და (h) პირობები. მაშინ, სამართლიანია $(\mathbf{3.8})$ ტოლობა, სადაც ნაშთით წევრს ალბათობით 1 აქვს შემდეგი რიგი

$$R_n = O\left(\frac{logn}{nh_n^{2m+2}}\right).$$

ძალდებულობა

ამ ნაწილში გამოვიყენებთ თეორემა 3.1-ს და დავამტკიცებთ $I(\hat{a}_n)$ შეფასების მკაცრად ძალდებულობას.

თეორემა 3.2. ვთქვათ, სრულდება თეორემა 3.1-ის პირობები. დადებითი $(h_n)_{n=1}^{\infty}$ მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ

$$\frac{logn}{nh_n^{2m+2}} \to 0, \text{ როცა } n \to \infty. \qquad (\mathbf{3.18})$$

მაშინ ალბათობით 1

$$I(\hat{a}_n) \to I(a). \qquad (\mathbf{3.19})$$

დამტკიცება: თეორემა 1-ის და $(\mathbf{2.8})$ ფორმულის თანახმად

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = S_n(h_n) + R_n, \qquad (\mathbf{3.20})$$

სადაც $R_n = o(1)$ და

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)dt.$$

$(a1)$ პირობიდან:

$$\left\{\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right): t \in [0,1]\right\} \subset [0,1] \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}.$$

ამიტომ, $(\varphi 2)$ პირობის გათვალისწინებით, მოიძებნება ისეთი $C_\varphi > 0$ მუდმივი, რომ

$$sup\{\left|\varphi_{(i)}\right|(t, t_0, t_1, \dots, t_m): (t, t_0, t_1, \dots, t_m) \in [0,1] \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}\} \le C_\varphi.$$

შეგვიძლია დავწეროთ:

$$ES_n(h_n) = 0$$

$$DS_n(h_n) = ES_n^2(h_n) \leq C_\varphi^2 \cdot \sum_{i=0}^{m} \int_0^1 E\left[\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right] dt$$

$$\leq C_\varphi^2 \cdot \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \left| \sum_{k=0}^{n} \frac{1}{h_n^{i+1}} \cdot \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) du \cdot E[Y(t_k) - a(t_k)] \right|^2 dt$$

$$\leq C_\varphi^2 C_W^2 \sigma^2 \cdot \sum_{k=0}^{n} (s_k - s_{k-1})^2 \cdot \sum_{i=1}^{m} \left(\frac{1}{h_n^{i+1}}\right)^2 \sim C \cdot \frac{1}{nh_n^{2m+2}} \to 0 \qquad \mathbf{(3.21)}$$

რადგან $\frac{logn}{nh_n^{2m+2}} \to 0$ და ამიტომ $S_n(h_n) \to 0$ როცა $n \to \infty$.

$$Ea_n^{(k)}(t) = \int_{-\tau}^{\tau} W(u) a^{(k)}(t)(t - uh_n) du + O\left(\frac{1}{nh_n^k}\right).$$

აქედან შეიძლება დავასკვნათ:

i) $(\mathbf{3.17})$ ფორმულიდან გამომდინარე ნულისკენ კრებადია $\frac{1}{nh_n^k}$, ნებისმიერი $k = 0,1, \dots, m$-თვის;

ii) როცა $n \to \infty$ გვაქვს $Ea_n^{(k)}(t) \to a^{(k)}(t)$.

შევაჯამოთ ნათქვამი და მივიღებთ, რომ $n \to \infty$-თვის

$$I(a_n) = \int_0^1 \varphi\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \to \int_0^1 \varphi\left(t, a(t), a'(t), \dots, a^{(m)}(t)\right) dt = I(a).$$

ასე, რომ $I(\hat{a}_n) - I(a_n) = o(1)$ ანუ $I(\hat{a}_n) - I(a) \to 0$. თეორემა დამტკიცებულია.

ცენტრალური ზღვარითი თეორემა

ჩვენი წარმოდგენის თეორემის გამოყენებით შეიძლება მივიღოთ ზღვარითი განაწილების თვისება ინტეგრალური ფუნქციონალისთვის

$$I(\hat{a}_n) = \int_0^1 \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

განვიხილოთ სხვაობა

$$I(\hat{a}_n) - I(a_n) = s_n(h_n) + R_n \qquad \mathbf{(3.8)}$$

სადაც ნებისმიერი $h_n > 0$-თვის, $s_n(h_n)$ წარმოადგენს დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების ჯამს.

$$S_n(h_n) = \sum_{i=0}^{m} \int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{3.9})$$

R_n ნაშთით წევრს კი აქვს შემდეგი სახე:

$$R_n = \frac{1}{2} \cdot \sum_{i,j=1}^{m} \int_0^1 \varphi_{(ij)}\left(\tilde{b}_m(t)\right)\left(\hat{a}_n^{(i)}(t) - a_n^{(i)}(t)\right)\left(\hat{a}_n^{(j)}(t) - a_n^{(j)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{3.10})$$

ცხადია, რომ

$$ES_n(h_n) = 0 \text{ და } ER_n \to 0 \text{ როცა } n \to \infty. \qquad (\mathbf{3.23})$$

გარდა ამისა

$$E\big(S_n(h_n)\big)^2 = \sigma^2 \sum_{i=0}^{m} \left(\int_0^1 \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt \right)^2 \qquad (\mathbf{3.24})$$

და $\mathrm{Var}R_n \to 0$ როცა $n \to \infty$.

ამ პირობებისთვის უნდა დავამტკიცოთ $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)$ სიდიდის ასიმპტოტურად ნორმალურობა და უნდა გამოვთვალოთ ზღვარითი ვარიაცია. აგრეთვე, ($\mathbf{3.8}$), ($\mathbf{3.23}$) და ($\mathbf{3.24}$) ფორმულების საშუალებით უნდა ვაჩვენოთ $\sqrt{n}S_n(h_n)$ სიდიდის ასიმპტოტურად ნორმალურობა. ამისთვის საკმარისია ეს თვისება შევისწავლოთ შემდეგი სიდიდისთვის:

$$d_k = Y(t_k) \cdot \sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^{i+1}} \cdot \int_0^1 \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) \cdot \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt du \qquad (\mathbf{3.25})$$

ადვილი შესამჩნევია, რომ

$$Ed_k = a(t_k) \cdot \sum_{i=0}^{m} \frac{1}{h_n^{i+1}} \cdot \int_0^1 \int_{s_{k-1}}^{s_k} W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right) \cdot \varphi_{(i)}\left(t, a_n(t), a_n'(t), \dots, a_n^{(m)}(t)\right) dt du \qquad (\mathbf{3.26})$$

ანუ ვიხილავთ დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეების მიმდევრობას:

$$f_n(k) = \alpha(n,k)\big(Y(t_k) - a(t_k)\big) = \alpha(n,k)\varepsilon_k$$

სადაც

$$\alpha(n,k)=\sum_{i=0}^{m}\frac{1}{h_n^{i+1}}\cdot\int_0^1\int_{s_{k-1}}^{s_k}W^{(i)}\left(\frac{t-u}{h_n}\right)\cdot\varphi_{(i)}\left(t,a_n(t),a_n'(t),\dots,a_n^{(m)}(t)\right)dtdu$$

განვიხილოთ ჯამი $S_n(h_n)=\sum_{k=1}^{n}\alpha(n,k)\varepsilon_k$.

ვთქვათ, $F_{k,n}$ არის $\alpha(n,k)\varepsilon_k$ შემთხვევითი სიდიდეების ალბათური განაწილების ფუნქცია, F_ε – კი ε_k შემთხვევითი სიდიდეების ალბათური განაწილების ფუნქცია. ლინდებერგის პირობას აქვს შემდეგი სახე $\forall\delta>0$, $lim_{n\to\infty}L_n(\delta)=0$ სადაც

$$L_n(\delta)=\frac{\sum_{j=1}^{n}\int x^2J\left(|x|\geq\delta\sigma(\sum_{k=1}^{n}\alpha^2(n,k))^{1/2}\right)dF_{k,n}(x)}{\sigma^2\sum_{k=1}^{n}\alpha^2(n,k)}.$$

აქ $J(A)$ წარმოადგენს A სიმრავლის ინდიკატორ ფუნქციას. ადვილი დასანახია, რომ

$$L_n(\delta)\leq\frac{1}{\sigma^2}max_{1\leq j\leq n}\int x^2J\big(|x|\geq\delta\sigma v(n,j)\big)dF_\varepsilon$$

სადაც

$$v(n,j)=\frac{|\alpha(n,j)|}{\left(\sum_{j=1}^{n}\alpha^2(n,j)\right)^{1/2}}$$

საჩვენებელი რჩება, რომ $max_{1\leq j\leq n}v(n,j)\to 0$ როცა $n\to\infty$. მაგრამ რადგანაც

$$max_{1\leq j\leq n}|\alpha(n,j)|=O\left(\frac{1}{nh_n^{m+1}}\right),$$

ანუ

$$max_{1\leq j\leq n}v(n,j)=O\left(\frac{1}{\sqrt{n}}\right)$$

ასე, რომ ლინდერბერგის პირობა სრულდება და შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ

თეორემა 3.3: ვთქვათ, სრულდება თეორემა 3.1-ის პირობები. მაშინ, თუ $h_n\to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2}\to\infty$ როცა $n\to\infty$, სამართლიანია $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n)-I(a_n)\big)\to_d N(0,r^2)$. სადაც

$$r^2=\sigma^2\cdot\sum_{i=0}^{m}\left(\int_0^1\varphi_{(i)}\left(t,a_n(t),a_n'(t),\dots,a_n^{(m)}(t)\right)dt\right)^2.$$

ზოგიერთი გამოყენება

განვიხილოთ ინტეგრალური ფუნქციონალი

$$I_1(a) = \int_0^1 a^2(t)\, dt.$$

ამ შემთხვევაში $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^2$, როცა $x_0 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}], b > 0$. მაშინ თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n} h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, გვექნება კრებადობა

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2).$$

სადაც

$$r^2 = 4\sigma^2 \left(\int_0^1 a(t) dt \right)^2.$$

ახლა განვიხილოთ ფიშერის ინტეგრალური ფუნქციონალი

$$I_2(a) = \int_0^1 \frac{\big(a'(t)\big)^2}{a(t)} dt.$$

ფუნქციონალისთვის გვაქვს $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \frac{x_1^2}{x_2}$. თუ $t \in [0,1]$მაშინ $a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \geq \mathbb{b}$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n} h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, მაშინ გვექნება $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2)$ კრებადობა, სადაც

$$r^2 = \sigma^2 \cdot \left(-\int_0^1 \left(\frac{\big(a'(t)\big)^2}{\big(a(t)\big)^2} - \frac{2a'(t)}{a(t)} \right) dt \right)^2$$
$$= \sigma^2 \left(\frac{a'(1)}{a(1)} log a(1) - \frac{a'(0)}{a(0)} log a(0) - \frac{1}{2} \cdot \frac{\big(a'(1)\big)^2}{\big(a(1)\big)^2} + \frac{1}{2} \cdot \frac{\big(a'(0)\big)^2}{\big(a(0)\big)^2} \right)^2.$$

ახლა განვიხილოთ

$$I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \big(a(t)\big)^s dt$$

ფუნქციონალი $(s > 1)$. მაშინ, $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = x_0^S$, როცა $x_1 \in [-b, b] \supset [-\mathbb{k}, \mathbb{k}], b > 0$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n} h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$ მაშინ გვექნება $\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2)$ კრებადობა, სადაც

$$r^2 = s^2\sigma^2\left(\int_0^1 a^{s-1}(t)dt\right)^2.$$

ბოლოს განვიხილოთ შენონის ინტეგრალური ენტროპია

$$I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t)loga(t)dt.$$

მაშინ, რომელიღაც საკმარისად დიდი $b \geq \mathbb{k} > 0$-თვის, თუ $0 < x_0 \leq b$ გვაქვს $\varphi(t, x_0, x_1, \dots, x_m) = \varphi(x_0) = x_0 logx_0$. დამატებით განვსაზღვროთ φ ფუნქცია 0-მდე, $\varphi(x) = 0$ როცა $-b \leq x \leq 0$. მაშინ $t \in [0,1] => a(t) \in [\mathbb{a}, \mathbb{b}], \mathbb{b} > a > 0$ და $b \geq \mathbb{b}$. თუ $h_n \to 0$ და $\sqrt{n}h_n^{2m+2} \to \infty$ როცა $n \to \infty$, ამ შემთხვევაში

$$\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big) \to_d N(0, r^2),$$

სადაც

$$r^2 = \sigma^2\left(\int_0^1 a(t)\big(1 + loga(t)\big)dt\right)^2.$$

განმეორებითი ლოგარითმის თვისება

გამოვიყენოთ კულბსის ცნობილი განმეორებითი ლოგარითმის შედეგი (იხ. [30]) და ჩამოვაყალიბოთ შემდეგი

თეორემა 3.4. თუ h_n მიმდევრობა შერჩეულია ისე, რომ

$$R_n = o\left(\sqrt{\frac{loglogn}{n}}\right),$$

მაშინ

$$\lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)}{\sqrt{2loglogn}} = r.$$

დამტკიცება.მართლაც, ადვილი დასანახია, რომ

$$\lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(I(\hat{a}_n) - I(a_n)\big)}{\sqrt{2loglogn}} = \lim_{n\to\infty} sup \pm \frac{\sqrt{n}\big(\alpha(n,k)Y(t_k) - \alpha(n,k)a(t_k)\big)}{\sqrt{2loglogn}} = r.$$

§4. ნადარაია-ვატსონის შეფასებები და ფუნქციონალების ასიმპტოტური თვისებები

ვთქვათ, $a(t)$ არის რეგრესიის ფუნქცია. აქ გამოვიყენებთ ნადარაია-ვატსონის შეფასებას იმ კერძო ვარიანტში, როცა რეგრესორად დეტერმინისტული წერტილებია აღებული. კერძო შემთხვევებში განვიხილავთ შემდეგ ფუნქციონალებს:

$$I_1(a) = \int_{-\infty}^{\infty} a^2(t)dt, \quad I_2(a) = \int_{-\infty}^{\infty} \frac{\left(a'(t)\right)^2}{a(t)}dt,$$

$$I_3(a) = \int_{-\infty}^{\infty} \left(a(t)\right)^s dt, \quad I_4(a) = \int_{-\infty}^{\infty} a(t)loga(t)dt.$$

ეს ფუნქციონალები ცალკე შესწავლის საგანია სხვადასხვა კვლევებისათვის. ჩვენ აქ გამოვიყენებთ მათთვის ერთიან მიდგომას, რომელიც დამყარებულია ე.წ. წარმოდგენის თეორემაზე.

განვიხილოთ შემდეგი ტიპის რეგრესიის მოდელი:

$$Y(t) = a(t) + \varepsilon(t), \tag{4.1}$$

სადაც $t \in [0,1]$, $\varepsilon(\cdot)$ არის შეშფოთება ნულოვანი საშუალოთი და სასრული დისპერსიით, $E\varepsilon(t) = 0,\ E\varepsilon^2(t) = \sigma^2 < \infty$, $Y(t)$ შემთხვევითი ფუნქციაა, $a(t)$ კი - უცნობი რეგრესიის ფუნქცია.

დავუშვათ გვაქვს n წერტილი:

$0 \le t_1 \le t_2 \le \cdots \le t_n \le 1$, სადაც თითოეული $t_k,\ k = 1,2,\dots,n$ დამოკიდებულია n-ზე, $max_i|t_i - t_{i-1}| = O\left(\frac{1}{n}\right)$. ამ წერტილებში გაგვაჩნია დაკვირვებები $Y(t_1), Y(t_2), \dots, Y(t_n)$.

უცნობი რეგრესიის $a(t)$ ფუნქციის ერთ-ერთი შეფასება შემოღებულ იქნა ნადარაიასა და ვატსონის მიერ (იხ. [9-10]) და განსაზღვრულია შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} \frac{W\left(\frac{t - t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t - t_k}{h_n}\right)} \cdot Y(t_i), \tag{4.2}$$

სადაც, $\{h_n,\ n = 1,2,\dots\}$ მონოტონურად, 0-სკენ კრებადი, დადებითი რიცხვების მიმდევრობაა, $W(t)$ კი - ალბათური სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა.

სიმარტივისთვის შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^{n} W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)} \equiv \alpha(t, t_i, h_n).$$

ნადარაია-ვატსონის შეფასება გადაიწერება შემდეგნაირად:

$$\hat{a}_n(t) = \sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i).$$

სამართლიანია $\sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) = 1$ და $\sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) = 0$ ტოლობები (აქ და შემდეგში ყველგან $\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)$-ში იგულისხმება k რიგის წარმოებული t ცვლადის მიმართ).

ასეთი აღნიშვნით რეგრესიის ფუნქციის k-ური რიგის $a^{(k)}(t)$ წარმოებულის შეფასება შემდეგნაირად ჩაიწერება

$$\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i) \qquad (\mathbf{4.3})$$

ყოველი $k = 0, 1, 2, \dots, m$-თვის.

ვთქვათ, $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია და გლუვია. განვიხილოთ შემდეგი სახის ინტეგრალური ფუნქციონალი:

$$I(a) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, a(t), a'(t), \dots, a^{(m)}(t)\right) dt. \qquad (\mathbf{4.4})$$

გვაქვს შერჩევა $(t_i, Y_i), i = 1, 2, \dots, n$. ეს ნიშნავს, რომ

$$Y_i = Y(t_i) = a(t_i) + \varepsilon(t_i). \qquad (\mathbf{4.5})$$

$I(a)$-ს შეფასებისთვის ვიყენებთ ე.წ. ”plug-in” შეფასებას. ანუ განვიხილავთ ფუნქციონალს:

$$I(\hat{a}_n) = \int_{-\infty}^{\infty} \varphi\left(t, \hat{a}_n(t), \hat{a}_n'(t), \dots, \hat{a}_n^{(m)}(t)\right) dt.$$

წარმოდგენის თეორემა

ამ ნაწილში მოვიყვანთ ”წარმოდგენის” თეორემას, საიდანაც მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო შედეგებს. ჩამოვაყალიბოთ პირობები განსახილველი სიდიდეებისათვის.

პირობები $\boldsymbol{a}$-სათვის:

$(a1)$ $a = a(t)$ განსაზღვრულია და უწყვეტია [0, 1]-ზე, იგი მნიშვნელობებს იღებს $[-\Bbbk, \Bbbk]$ ინტერვალიდან;

$(a2)$ $a = a(t)$ ფუნქციას აქვს უწყვეტი წარმოებულები m რიგის ჩათვლით;

$(a3)$ ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-სათვის, $a^{(i)}(\cdot) \in L_1([0,1])$.

პირობები $\boldsymbol{\varepsilon_k = \varepsilon(t_k)}$-სათვის:

$(\varepsilon1)$ ε_k, $k = 1, 2, \dots$ დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია;

$(\varepsilon2)$ $E\varepsilon_k = 0$, $D\varepsilon_k^2 = \sigma^2 < \infty$.

სიმარტივისთვის შემოვიღოთ აღნიშვნები $\varphi = \varphi(x, x_0, \dots, x_m) \in C_b^2(R^{m+2})$ ფუნქციისათვის

$$\frac{\partial\varphi}{\partial x_i} = \varphi_{(i)}, \ i = 0, 1, \dots, m \text{ და}$$

$$\frac{\partial^2\varphi}{\partial x_i \partial x_j} = \varphi_{(ij)}, \ i, j = 0, 1, \dots, m.$$

პირობები $\boldsymbol{\varphi}$-სათვის:

(φ) $\varphi: \mathbb{R}^{m+2} \to \mathbb{R}$ ფუნქცია უწყვეტია, შემოსაზღვრულია, ინტეგრებადია და მას გააჩნია მეორე რიგის ჩათვლით უწყვეტი წარმოებულები, რომელიღაც ღია, ამოზნექილ A არეში, რომელსაც შეიცავს $\mathbb{R} \times [-\Bbbk, \Bbbk]^{m+1}$ სიმრავლე; φ-ის პირველი და მეორე წარმოებულები თანაბრად შემოსაზღვრულია A არეში $C_\varphi > 0$ მუდმივით.

ამ პირობების თანახმად, φ ფუნქციისათვის ნებისმიერი $i, j = 0, 1, \dots, m$-თვის გვაქვს:

$$sup\left\{\left|\varphi_{(i,j)}\right|(s, s_0, s_1, \dots, s_m): (s, s_0, s_1, \dots, s_m) \in A\right\} \le C_\varphi. \qquad (\mathbf{4.6})$$

პირობები $\boldsymbol{W}$-სათვის:

$(W1)$ $\int_{-\infty}^{\infty} W(t)\, dt = 1$;

$(W2)$ $W(t)$ ფუნქცია უწყვეტად წარმოებადია $m \ge 1$ რიგის ჩათვლით. უწყვეტ $W^{(i)}(t)$, $i = 0, 1, \dots, m$ ფუნქციებს აქვთ კომპაქტური მატარებელი $[-\tau, \ \tau]$ ინტერვალში და ცხადია $W^{(i)}(-\tau) = W^{(i)}(\tau) = 0$;

$(W3)$ მოიძებნება $0 < C_{1W}, C_{2W} < \infty$ მუდმივები, რომლებისთვისაც

$$inf_{t\in R}\left(W^{(i)}(t)\right) \geq C_{1,W},$$

$$sup_{t\in R}\left(W^{(i)}(t)\right) \leq C_{2,W}$$

ყოველი $i = 0, 1, \dots, m$ −თვის.

$(W4)$ ნებისმიერი $i = 0, 1, \dots, m$-თვის $W^{(i)} \in L_1([-\tau,\ \tau])$.

პირობები $\boldsymbol{h_n}$-სათვის:

(h) $\quad \frac{\sqrt{\max(|logh_n|; loglogn)}}{\sqrt{n}h_n^{0,5+m}} \to 0,$ როცა $n \to \infty$.

შემდეგში დაგვჭირდება $\left|\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)\right|$-ის შეფასება და ვაჩვენოთ, რომ ყოველი $k = 0, 1, \dots, m$ −თვის სამართლიანია

$$\left|\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)\right| \leq \frac{1}{n \cdot h_n^k} \cdot C_k$$

უტოლობა, სადაც $0 < C_k < \infty$ გარკვეული მუდმივებია.

მართლაც $k = 0$ −თვის

$$\left|\alpha^{(0)}(t, t_i, h_n)\right| = \left|\frac{W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right)}{\sum_{k=1}^n W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)}\right| \leq \frac{C_{2,W}}{n \cdot C_{1,W}} \equiv \frac{1}{n \cdot h_n^0} \cdot C_0.$$

$k = 1 -$ სთვის

$$\left|\alpha^{(1)}(t, t_i, h_n)\right| = \left|\frac{\frac{1}{h_n} \cdot W'\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \sum_{k=1}^n W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right) - W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \frac{1}{h_n} \cdot \sum_{k=1}^n W'\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)}{\left(\sum_{k=1}^n W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\right)^2}\right|$$

$$\leq \frac{1}{h_n} \cdot \frac{\left|W'\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \sum_{k=1}^n W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\right| + \left|W\left(\frac{t-t_i}{h_n}\right) \cdot \sum_{k=1}^n W'\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\right|}{\left(\sum_{k=1}^n W\left(\frac{t-t_k}{h_n}\right)\right)^2}$$

$$\leq \frac{n \cdot C_{2,W}^2 + n \cdot C_{2,W}^2}{h_n \cdot \left(n \cdot C_{1,W}\right)^2} = \frac{1}{n \cdot h_n^1} \cdot \frac{2C_{2,W}^2}{C_{1,W}^2} \equiv \frac{1}{n \cdot h_n^1} \cdot C_1.$$

ინდუქციით ადვილად მივიღებთ რომ

$$\left|\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)\right| \leq \frac{1}{n \cdot h_n^k} \cdot C_k.$$

C_k-ებს შორის უდიდესს თუ ავღნიშნავთ C_α-თი, მივიღებთ, რომ ყოველი $k = 0, 1, \dots, m$ −თვის სამართლიანია უტოლობა

$$\left|\alpha^{(k)}(t, t_i, h_n)\right| \leq \frac{1}{n \cdot h_n^k} \cdot C_\alpha.$$

$a_n(t)$-თი ავღნიშნოთ $\hat{a}_n(t)$-ს მათემატიკური ლოდინი:

$$a_n(t) = E\hat{a}_n(t) = E\left(\sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) \cdot Y(t_i)\right) = \sum_{i=1}^{n} \alpha(t, t_i, h_n) \cdot a(t_i).$$

ანალოგიურად,

$$a_n^{(k)}(t) = E\hat{a}_n^{(k)}(t) = \frac{1}{h_n^k} \cdot \sum_{i=1}^{n} \alpha^{(k)}(t, t_i, h_n) \cdot a(t_i).$$

ვაჩვენოთ, რომ არსებობს და სასრულია გამოსახულებები: $I(a), I(a_n)$ და $I(\hat{a}_n)$.

ტეილორის ფორმულის თანახმად ნებისმიერი $(s, s_0, s_1, \dots, S_m) \in A$ წერტილისათვის და რაღაც $\tilde{s}_i \in A$-თვის შეგვიძლია დავწეროთ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) = \left|\sum_{i=0}^{m} \varphi_{(i)}(s, 0,0, \dots, 0)s_i + \frac{1}{2}\sum_{i,j=0}^{m} \varphi_{(i,j)}(s, \tilde{s}_0, \tilde{s}_1, \dots, \tilde{s}_m)s_i s_j\right|.$$

შესაბამისად, მოიძებნება მუდმივი C ისეთი, რომ

$$|\varphi|(s, s_0, s_1, \dots, S_m) \leq C\left(\sum_{i=0}^{m} |s_i| + \sum_{i=0}^{m} |s_i|^2\right).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი შემოსაზღვრული ზომადი $f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)$ ფუნქციებისთვის $L_1(R)$-დან გვექნება

$$\int_{-\infty}^{\infty} |\varphi|\big(t, f_0(t), f_1(t), \dots, f_m(t)\big)dt < \infty. \qquad (\mathbf{4.7})$$

ასე, რომ $I(a)$ არსებობს.

